



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მ თ ა მ ბ ე

№ 2 (39)

19 თბილისი 67



რედაქტორი — ნინო შვანგირაძე

---

**სარედაქციო კოლეგია:** დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი  
ნ. გურაბანიძე, ო. ეგაძე, დ. მჭედლოძე,  
ბ. ჟღენტო, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,  
ა. ხორავეა, დ. ჯანელიძე.

---

წელს აპრილში შესრულდა დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის დაბადების 80 წლისთავი. რესპუბლიკაში ამ თარიღს ფართოდ აღნიშვნისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ შექმნა საიუბილეო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ი. აბაშიძე, დ. ანთაძე, ემ. აფხაიძე, შ. აფხაიძე, კ. გარდაფხაძე, ი. გოკიელი, დ. გელაშვილი, ვ. გოძიაშვილი, ა. დვალისვილი, ო. ევაძე, ა. ვასაძე, ს. ზაქარიაძე, დ. თავაძე, ო. თაქთაქიშვილი (თავმჯდომარე), მ. თუმანიშვილი, დ. ქატია, ვ. კუბრავა, ვ. კიკნაძე, გ. ლორთქიფანიძე, დ. მჭედლიშვილი, რ. მარგინი, მ. მეგრელიშვილი, შ. ნუცუბიძე, ნ. ურუშაძე, ს. ქობულაძე, ნ. შვანგირაძე (მდივანი), ს. შანშიაშვილი, ა. ჩხარტიშვილი, ა. ჩიმაკაძე, თ. წულუკიძე ა. ძიძიგური, ა. ხორავა, უ. ჯაფარიძე.

გაიმართა საიუბილეო კომისიის რამდენავე სხდომა, რომლებზეც მიღებული იქნა სათანადო დადგენილებები, სახელდობრ რომ სანდრო ახმეტელის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო თბილისში გაიმართოს 29 აპრილს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. საღამო გაიმართოს აგრეთვე რეჟისორის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში, ხოლო თელავში, სადაც სანდრო ახმეტელი სწავლობდა, მოეწყოს

მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

საიუბილეო ღღეებისათვის გამოვიდეს თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძის მონოგრაფიული გამოკვლევა „სანდრო ახმეტელი“ და თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძის მიერ შედგენილი ფოტოილუსტრირებული კრებული — ალბომი, რომელშიც უნდა აისახოს დიდი რეჟისორის ცხოვრება და შემოქმედება.

გადაწყდა, თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში დაწესდეს სანდრო ახმეტელის სახელობის სტიპენდია, ხოლო დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიეკუთვნოს გამოჩენილი რეჟისორის სახელი.

მომზადდება და უახლოეს წლებში გამოვა კრებული (რუსულ ენაზე), რომელშიც დაიბეჭდება სამეცნიერო შრომები და სტატიები სანდრო ახმეტელის შემოქმედებაზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე ქართული თეატრის ისტორიაში.

საქართველოს სახელმწიფო თეატრალურმა ბუზეუმმა რუსთაველის თეატრთან ერთად მოაწყოს დიდი გამოფენა თემაზე „სანდრო ახმეტელის ცხოვრება და შემოქმედებითი გზა“.

დედაქალაქისა და რესპუბლიკის თეატრებმა ახმეტელის იუბილეს მიუძღვნან თავიანთი საუკეთესო სპექტაკლები.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ თეატრალურ ცხოვრებას გამოაკლდა ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი განვითარებისათვის თავდადებული მებრძოლი, სახელგანთქმული რეჟისორი სანდრო ახმეტელი. მისი შემოქმედება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა ხალხში, დროთა ვითარებაში ეს ინტერესი კიდევ უფრო იზრდებოდა.

იგი დაიბადა 1888 წლის 13 აპრილს, ქუჩიში, სოფელ ანაგაში.

სანდროს მამა, ვასილ დავითის ძე ახმეტელი, სოფლის მღვდელი, იყო ენერგიული და შრომისმოყვარე ადამიანი. დედა — მარიამ დიმიტრის ასული ოდიშელიძე, წარმოშობით სოფ. გურჯაანიდან, გულკეთილი და გამრჯე ყოფილა.

სანდრო ხმეტელის მშობლებს ძალიან კარგად ჰქონიათ გათვალისწინებული სწავლა-განათლების ძალა და მნიშვნელობა; ამიტომაც, მიუხედავად განსაკუთრებული სიძნელეებისა, მათ შეძლეს სუთივე შეიღისათვის უმაღლესი განათლება მიეცათ.

როდესაც სანდროს ხუთი წელი შეუსრულდა, მისი მშობლები სოფ. ანაგიდან ქ. თელავში გადავიდნენ საცხოვრებლად და რვა წლის სანდრო თელავის სასწავლებელში მიაბარეს.

1900 წელს დაამთავრა თუ არა სანდრომ თელავის სასწავლებელი, მშობლებმა იგი განჯის გიმნაზიაში გადაიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად. ამავე დროს, რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, ერთ-ერთი მასწავლებლის ოჯახში მოაწყვეს.

სანდრო ბავშვობიდანვე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მუსიკისადმი. ჰქონდა შესანიშნავი სმენა და მუსიკაც ძალიან იზიდავდა. ადვილად იხსოვებდა სხვადასხვა ჰანგებს. განსაკუთრებით უყვარდა ქართულ საკრავებზე დაკვრა. ხმაც კარგი ჰქონია. ერთ დროს იგი ვამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ნიკოი სულხანიშვილის გუნდშიაც კი მღეროდა.

1902 წელს მშობლებმა სანდრო განჯიდან თბილისში ჩამოიყვანეს და ქართულ გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც ის განმანათვისებულ

მა იღებდა და რევოლუციურმა ლიტერატურამ გაიტაცა.

1905 წლის რევოლუციას სანდრო ახმეტელი სიხარულით შეხვდა. იყო ერთ-ერთი ექაპრობრიაციის აქტიური მონაწილე, რის გამოც დააპატიმრეს და მისი საქმე სამხედრო-საველე სსსამართლოს გადასცეს, მაგრამ ს. ახმეტელი მძიმე სასჯელს სრულიად შემთხვევით გადაურჩა. მისმა მეგობრებმა გამოძიებელი მოიხსილეს და საქმე მოსპეს.

1906 წელს ს. ახმეტელმა ქართული გიმნაზია დაამთავრა. 1907 წელს პეტერბურგს ემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად და იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად.

სანდრო მოწაფეობის დროს, არდადეგებზე თელავში ჩასვლისას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდების მიერ დაარსებულ დრამატულ წრეში, აქ მას რამდენიმე წარმოდგენა დაუღვამს და უსინათლო მოხუცი ველას როლიც შეუსრულებია აკაკის „პატარა კახში“. წარმოდგენების დადგმისას ეხერხებოდა პიესის მონტაჟი, როლების განაწილება, მიზანსცენების შერჩევა და კომპოზიცია, მსახიობებისათვის დამახასიათებელი მომენტების ჩვენება. თვით კი სცენაზე თამაშს არ ეტანებოდა. დრამატული წრის მუშაობამ ს. ახმეტელი ძალიან გაიტაცა და იგი სტუდენტობის დროსაც, პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოსვლისას ეწვევოდა ხოლმე როგორც თელავის წრეს, ასევე — თბილისის ქართული თეატრის წარმოდგენებს.

უნივერსიტეტში როდი კმაყოფილდებოდა მარტო იურიდიული ფაკულტეტის კურსის შესწავლით. განსაკუთრებით დაინტერესდა ზელოვნების ისტორიით და ესთეტიკით.

1909—1910 წლიდან სანდრო ახმეტელმა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში პუბლიცისტური წერილების ბეჭდვა დაიწყო, ხოლო 1913 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა მისი წერილები, რომლებიც თეატრალურ ზელოვნების საკითხებს ეხებოდა. ამავე წლიდან პეტერბურგიდან თბილისში არდადეგებზე ჩამოსვლის დროს რამდენიმე საჯარო მოხსენება



წაიკითხა ყოფ. შუბალაშვილის სახალხო სახ-  
ლში, ქართული თეატრის პრობლემების შესა-  
ნებ. 1915 წელს სანდრო ახმეტელი პოეტ სან-  
დრო შანშიაშვილთან ერთად აქტიურ მონაწი-  
ლეობას იღებდა გაზეთ „საქართველოს“ გა-  
მომცემლობაში. სანდრო ახმეტელი თავის წე-  
რილებში და საჯარო მოხსენებებში იმ აზრს  
ავითარებდა, რომ საქართველოს, რომელსაც  
მდიდარი ისტორიული წარსული და სუ-  
ლიერი კულტურა აქვს, უნდა ჰქონდეთ  
თავისი ეროვნული, ნაამდვილო ქართული თე-  
ატრი, ისე როგორც საკუთარი ეროვნული თე-  
ატრები ჰქონდათ სხვა კულტურულ ერებს.

1916 წელს ს. ახმეტელმა დაამთავრა პე-  
ტერბურგის უნივერსიტეტი და 1911 წლის და-  
საწყისში დაბრუნდა საქართველოში, სადაც  
დაიწყო სავეტილო მოღვაწეობა და სხვადასხვა  
საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობა.

როგორც თავის სტუდენტობის პერიოდში,  
ისე შემდგომ ს. ახმეტელი დიდ სიყვარულსა და  
ყურადღებას იჩენდა თეატრალური ხელოვნე-  
ბისადმი. მაშინდელმა მოწინავე ქართველმა  
საზოგადოებრიობამ იცოდა მისი ღღობდა ხე-  
ლოვნების ამ დარგის მიმართ და 1920 წელს  
ალექსანდრე წუწუნავას და სოლომონ ახვლე-  
დიანის ინიციატივით (სოლომონ ახვლედიანი  
იყო მეუღლე ცნობილი ქართველი მსახიობის  
ნინო დავითაშვილისა) მიწვეული იქნა რეჟი-  
სორად ქართულ თეატრში.

სანდრო ახმეტელი გარკვეული შემოქმედე-  
ბითი მსოფლმხედველობით, საკუთარი თეატრ-  
ალური რწმენით მოვიდა ქართულ თეატრში.  
იგი ოცნებობდა ახალ საბჭოთა თეატრზე, ახალ  
მსახიობზე, მაგრამ ბირველ ხანებში მან ვერ  
განახორციელა თავისი ოცნებანი. მის მიერ იმ-  
ხანად დადგმულმა სპექტაკლმა „ბერლო ზმა-  
ნიამ“ ქართული თეატრის რეფორმა ვერ მოახ-  
დინა. სანდრო ახმეტელს ჯერ კიდევ აცლდა  
პროფესიული წრეთობა და გამოცდილება. ბირ-  
ველი პრაქტიკული ნაბიჯების ნაწილობრივი  
წარუმატებლობის გამო ახმეტელმა მცირე  
დროით დატოვა სცენა.

1922 წელს, ქართულ თეატრში მოვიდა დი-  
დი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. ამ უზარ-  
მაზარი მხატვრული გუნებისა და ფანტაზიის  
შემოქმედმა ჯერ კიდევ რუსულ საუკეთესო  
თეატრებში მოიპოვა მეტად საინტერესო და  
გაბედული რეჟისორის სახელი. მისი უტყუარი  
და მრავალმხრივი ტალანტი ხელოვნებაში  
იყო საფუძველი იმ საყოველთაო და დიდი აღი-  
არებისა, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა რუ-

სეთში მოიპოვა, მისმა მოსვლამ მთელი გარდა-  
ტეხა მოახდინა ქართულ თეატრში. დაუბრ-  
უნა და კიდევ უფრო მაღლა ასწია ჩვენის თეატრ-  
ალური ხელოვნების ავტორიტეტი.

კოტე მარჯანიშვილმა აქტიურთა და რეჟი-  
სორთა მრავალრიცხოვანი და შესანიშნავი კად-  
რი მისცა ჩვენს ქვეყანას. მისმა მოსვლამ სან-  
დრო ახმეტელს სიხარულის ფრთები შესახა.  
იგი უმაღლეს დაუბრუნდა თეატრს და მხარში  
ამოუღდა დიდ რეჟისორს.

კოტე მარჯანიშვილთან ერთად დაიწყო  
სანდრო ახმეტელმა ქართული საბჭოთა თეატრ-  
ის შექმნა, თავისი დიდი მასწავლებლისაგან  
მან შეითვისა ყოველივე ძვირფასი და მნიშ-  
ვნელოვანი ახალი თეატრის შესაქმნელად. აქ-  
ტიურულ ძალეზე დაყრდნობით რუსთაველის  
თეატრის საბჭოთა კავშირის მოწინავე თეატრ-  
თა რიგში ჩააყენა. იგრძნო რა სოციალისტუ-  
რი ქვეყნის მაკნისცემა, თავისი იდეური მრწამ-  
სით მტკიცედ დადგა საბჭოთა პოზიციაზე და  
მის მხატვრულ ასახვას მოაწოდმა მთელი თა-  
ვისი ნიჭი და ენერჯია.

სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი აღმა-  
ვლობა იწყება 1926 წლიდან, როდესაც იგი  
რუსთაველის სახელობის თეატრს ჩაუდგა სა-  
თავეში.

დადგა ა. გლებოვის იდეურად მახვილი,  
თანადროულად ჟღერადი პიესა „ზაგმაუკა“,  
რის შემდეგ ს. ახმეტელი დგამს რევოლუციო-  
რი მაგნებარებით სავსე პიესებს („რდევვა“,  
„ანზორი“, „ქართა ქალაქი“). თეატრის რე-  
ჰერტულარში თანამედროვეობის ამსახველმა  
თემებმა წამყვანი ადგილი დაიკავეს („საქვე  
მარცხნივ“, „განგაში“, „ინტერვენცია“).

ახმეტელი დაუცხრომლად ეძებს საშუალებ-  
ებს, რათა თეატრი ხსოვრებას მჭიდროდ დაუ-  
კავშიროს, ქმნის ეროვნულ თეატრს, — სხვა  
თეატრებისაგან განსხვავებულს. „ჩვენ —  
წერდა იგი, — ვქმნით ერთიან თეატრს, მაგ-  
რამ განსხვავებულს ეროვნული ფორმით. ეს  
თეატრი ერთნაირი უნდა იყოს ყველა საბჭოთა  
მოქალაქისათვის“.

სანდრო ახმეტელი თავდადებით იბრძოდა,  
რათა ქართულ საბჭოთა თეატრს აესახა ქარ-  
თველი ხალხის კულტურა, თავისუფალი ხალ-  
ხის ნაციონალური თვითშეგნება, ცდილობდა,  
რომ თეატრს ჰქონოდა თავისი ორიგინალური  
სახე, საკუთარი სტილი, ამაღლებული ემოციო-  
რობა, ბლასტიკურობა, რომანტიკული მიზან-  
სწრაფვა. სანდრო ილტვოდა, თეატრი ისე წა-



რემბრთა, რომ მთელ შემოქმედებით კოლექტივს ეს თვისებები აეღო თავისი ხალხისაგან და ახალი თეატრალური ფორმებით ფრთა შეესხა ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულისათვის, თანადროულობისათვის და იმ საუკეთესო საცაიხობრიო იდეებისათვისაც, რასაც უმღერდნენ მსოფლიო დრამატურგიის კლასიკოსები.

სანდრო ახმეტელის დამსახურება იმაშია, რომ ის ახალგაზრდა ქართული საბჭოთა თეატრის შექმნის რთულ პირობებში არ ივიწყებდა ამ თეატრის კეთილშობილურ, ეროვნული ხალხურობის პრინციპს, პრინციპს, რომელიც გაამაგურებდა ახალგაზრდა ქართული საბჭოთა თეატრის რეალისტურ პოზიციებს. ყოველივე ეს კი უშუალოდ იყო დაკავშირებული იმ დიდ იდეურ-მხატვრულ ამოცანებთან, რომლებიც წამოაყენა ხელოვნების წინაშე ახალმა, სოციალისტურმა სინამდვილემ.

ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის სწორი შეცნობიდან გამომდინარეობდა ახმეტელის იდეური მრწამსი, რომ სოციალისტური იდეა ეროვნულ ფორმაში უნდა გამოიხატა. ამას იგი შემოქმედებითად ამართლებდა. მან ორგანიულად იკრძო რევოლუციური ეპოქის სუნთქვა და დაიწყო კიდევ ამ დიადი ეპოქის შინაარსის შესაბამისი სპექტაკლების ფორმის ძიება.

თეატრის ნაციონალური ფორმის ძიება მისი მუშაობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა: მთელი თავისი შემოქმედებითი გულისყური, ენერჯია, ცოდნა, სანდრო ახმეტელმა ამ ამოცანების განხორციელებისაკენ წარმართა „განთავისუფლებული ეროვნული კულტურა, — წერდა ახმეტელი, — მოითხოვს თავის გზას და საკუთარ უნარზე ნამუშევრს“. „ჩვენი თეატრის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ გამოახული იქნეს კომუნისმის იდეების გამოხატვის ნაციონალური ფორმა“.

ახმეტელმა იცოდა, რომ ფორმა საშუალებაა და არა მიზანი, მან იცოდა, რომ „ეროვნული თეატრი უპირველესად და უმთავრესად ეყრდნობა შინაგან წყაროებს და ამ წყაროებს მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა კი არა აქვთ, არამედ საერთო, საკავშიროც“. „მთელი ჩვენი მუშაობა, შენიშნავდა იგი, — მცდარი იქნება, ჩვენ დავმარცხდებით, თუ ჩვენს ნაციონალურ ფორმაში გაუგებარი დავრჩებით. თუ ნაციონალური ფორმა არ გაცდებდა ჩვენი საკუთარი ქვეყნის ჩარჩოებს, თუ არ გარდაიქმნება ზეგავლენის საშუალებად არა მარტო

ქართველებზე, მაშინ ფორმა პრიმიტიულია და ნება“ აი, სწორედ ეს არის მთავარი. ამიტომ, რომ ასე დიდ ინტერესს იწვევს მისი სპექტაკლების აზრის გამოხატვის ფორმა.

სანდრო ახმეტელის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სპექტაკლ „არღვევას“. ამ რევოლუციური მგზნებარებით სავსე სპექტაკლმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ საბჭოთა კავშირში.

თქმის დიდი წარმატების შემდეგ, რაც სპექტაკლმა „არღვევა“ მოუტანა რუსთაველის თეატრს, ბუნებრივი იყო, რომ მას უნდა დაეცვა და განეფითარებია ის იდეურ მხატვრული კვლევა, რაც ამ სპექტაკლმა გამოავლინა. ამ მხრივ დიდი ნაბიჯი იყო წინ გადადგმული „ანზორის“ დადგმა.

„ანზორი“ ახმეტელს საშუალებას აძლევდა უკეთ გამოეხატა თავისი შემოქმედებითი მრწამსი. სპექტაკლი იყო მისი რეჟისორული ნიჭის უდიდესი მიღწევა. მან საბოლოოდ დიდ შემოქმედის სახელი მოუხვეჭა რეჟისორს. როდესაც მოსკოვში „ანზორი“ წარმოადგინეს, მთელი დარბაზი სტიქიურად ჩაერთო მოქმედებაში, მესამე აქტს ფეხზე ამდგარი უცქერდა.

ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და თეატრალურ კრიტიკოსს თ. ლიტოვსკის „ანზორი“ მიაჩნდა ნამდვილ თეატრალურ მოვლენად. „ახმეტელმა იცის, წერდა იგი, — დრამატურგიული და აქტიორული მასალის ისე გამოყენება, რომ ეთნოგრაფიაში არ ვარდება. მან იცის თეატრის საერთო კანონების გადატანა ეროვნულ ენაზე და ბიესის შინაარსის მაყურებელამდე მიტანა ისეთი თავისებური და ორიგინალური ფორმით, რომ მის ნამუშევარში“ ევროპის მიმბაძველობის“ ნასახიც კი არ ჩანს. ეს სპექტაკლი ეკუთვნის ისეთ სპექტაკლთა რიცხვს, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს ფორმულას: „ნაციონალური ფორმითა და პროლეტარული შინაარსით“ (გაზ. „პრავდა“, 1930, 27 ივნისი).

სანდრო ახმეტელის რეჟისორული ხელწერის განვითარებაში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა სპექტაკლ „ლამარას“. მასში ახმეტელმა გამოიყენა ახალი შემოქმედებითი ხერხები. ახლა, მან ყურადღების სიმძიმე ახლო ევროპისა და რიტმის ძიებაზე გადაიტანა. სპექტაკლმა ფართო მითქმა-მოთქმა გამოიწვია, თეატრს უსაყვედურეს ეთნოგრაფიული მასალის გადაჭარბებულად გამოყენება, მაგრამ



სანდრო ახმეტელს როდი მიაჩნდა „ლამარა“ თავისი შემოქმედების უკანასკნელ სიტყვად. როგორც რეჟისორი, იგი დაუსცხრომლად ეძებდა თეატრალურ ფორმებს, იმას, რაც ლამაზად გამოხატავდა ჯანსაღ სულს, მის ამალღევებელ, პოეტურ განწყობილებას. სწორედ ამ მხარეზე იქნა რამე მიღწეული „ლამარაში“.

„ლამარა“ აუცილებელი საფეხური იყო ქართული ეროვნული თეატრის განვითარებაში (ლიტოვსკი, ვაზ. „პრავდა“, 1930 წ. 27 ივნისი). სპექტაკლმა თეატრალური საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. მასში დიდ სიმალღემდე იყო აყვანილი მასობრივი სცენები. საილუსტრაციოდ საკმარისია ღრუბის სცენა, მაგრამ არა ნაკლებ პოეტური და გამომსახველი იყო სხვა სცენებიც.

სანდრო ახმეტელის რეჟისორულ შემოქმედებაში კლასიკური მეგვიდროვობის ათვისების საუკეთესო ნიმუშად ერთხმად იქნა აღიარებული „ყაჩაღები“. მასზე მუშაობის დაწყებისას ახმეტელი წერდა, რომ შოლერს მე ვიღებ თანამედროვე მასურებლის მოთხოვნილებების პოზიციებიდან. გაზეთი „იზვესტია“ შეინიშნავდა: „ყაჩაღები“ ქართული სპექტაკლია კოლორიტით, რიტმით, ტემპერამენტით“.

სანდრო ახმეტელის მიერ დადგმული „ყაჩაღები“ (რეჟისორი შ. აღსაბაძე), „ინ ტირანოსის“ სახელწოდებით მიდიოდა და იგი ერთ სეზონში ასჯერ დაიდგა. იმ დროისათვის ეს უჩვეულო ამბავი იყო. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მასურებელი დიდხანს არ იშლებოდა, იგი თავგზრუდამხვევ ოვაციას უმართავდა სანდრო ახმეტელს, მთელ თეატრს. ქუჩაში, თეატრის წინ ასობით მასურებელი ელოდებოდა სპექტაკლის მონაწილეებს.

სანდრო ახმეტელის სპექტაკლები „რღვევა“, „ანზორი“, „ლამარა“, „ყაჩაღები“ ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებაში ისტორიულ მნიშვნელობას იქნენ, მათი საშუალებით ქართული თეატრი გასცდა ეროვნულ ფარგლებს, და საკავშირო, თეატრალური ხელოვნების ფართო ასპარეზზე გავიდა.

ახმეტელის სპექტაკლებში ხალხი წარმოადგენდა შემოქმედ ძალას. მისი სპექტაკლები გამოირჩეოდნენ მასობრივი სცენების დიდი კულტურით. მათში იგრძნობოდა მასის ერთიანი, გმირული სუნთქვა, რომელიც შერწყმული იყო აზრის გამოხატვის მკვეთრ ფორმასთან. სცენაზე ასი კაცი მოქმედებდა განსაკუთრებული რიტმით; ერთი მოძრაობა, ერთი ჟესტი და

ამავე დროს მრავალსახეობა დეტალებისა, ყველივე ეს რაღაც არაჩვეულებრივად შეხმატებულივლ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელიც გაცივებდათ თავისი მხატვრული შესრულებით, ცეცხლით, პათოსით, ვენებით აღსავსე მოძრაობებითა და მეტყველებით. სცენაზე რამდენიმე კაციც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ სპექტაკლს მისცემოდა ფართო განზოგადოებულობა და მონუმენტულობა. შემორჩენილ ფოტოსურათებშიც კი კარგად იგრძნობა ეს სიდიადე.

ახმეტელის მთელს რეჟისორულ შემოქმედებაში უძვირფასესი მაინც ისაა, რომ იგი საკნეა თანამედროვეობის სულსიკვეთებით; ასეთი იყო მისი, როგორც უშუალოდ თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლები, ასევე ისტორიულიც. ამაშია მისი შემოქმედების გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი.

სანდრო ახმეტელის შემოქმედებაში ეს ძიება შეუცდომლად არ მიმდინარეობდა, მაგრამ ეს შეცდომები მიღებული იქნა როგორც შემოქმედებითი მუშაობისას დასაშვები ექსპერიმენტი და ამდენად სრულიად კანონზომიერი. ის საყვედური, რომელიც რუსთაველის თეატრმა მიიღო 1930 წელს მოსკოვის თეატრალურ კრიტიკისაგან, კერძოდ ზედმეტი სწრაფვა ქართულ ფოლკლორისაკენ, გადაჭარბებული სიყვარული ჩოხისა და ხანჯლებისა, 1933 წლის გასტროლებისას პრესაში მოხსნილი იყო. ეს განაპირობა „ყაჩაღებმა“, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად არ შეიცავდა კავკასიურ ატრიბუტს, აღიარებულ იქნა სრულიად ისეთივე ქართულ სპექტაკლად, როგორადაც მისი წინამორბედი „ლამარა“, „ანზორი“ და „თეთნულდი“.

სანდრო ახმეტელის აზრით რუსთაველის თეატრმა „ყაჩაღების“ დადგმით მხოლოდ თავისი პირობები, სიჭაბუკის პერიოდი დაამთავრა. შემდეგ მას განზრახული ჰქონდა შექსპირის „ოთლოის კენისისა“ და „კოსილიანოსის“ განხორციელება, მაგრამ არ დაესცა. კაცთა სიბოროტემ და მოძულეობამ იმსხვერპლა იგი 1937 წელს.

ვერც ოპერა „თავადი იგორის“ და ასაფიევის ბალეტის „პარტიზანების“ დადგმა მოასწრო ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერის და ბალეტის თეატრში. ვერც დაამთავრა აგრეთვე მოსკოვის მწვანე თეატრში ბილ ბლოცერკოვის „სახლგარე“ და მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრში სარდუს „ფლანდრია“.




სანდრო ახმეტელს შემოქმედების გზაზე ჰქონდა მარცხი და შეცდომებიც. ახლის ძიებაში იგი არ ერიდებოდა მარცხს, ოღონდ საბოლოოდ გამარჯვებული გამოსულიყო და ქართული თეატრის პრესტიჟი სათანადო სიმაღლეზე აეყვანა.

ახმეტელს არ მიაჩნდა, რომ მის მიერ შექმნილი სპექტაკლები მისი სანუკვარი ოცნებებისა და შემოქმედებითი ნააზრევის სრულყოფილი განხორციელება იყო. ის ამ სპექტაკლებს „სიყმაწვილის პერიოდის ნაყოფს“ უწოდებდა, ახმეტელი ემზადებოდა, ძალას იკრებდა თავი-

სი შემოქმედების დასადუღებლად და გასაშრომავებლად. მთავარი ისაა, რომ მისი პეროიკული სპექტაკლები მოწოდებულნი იყვნენ აესახათ ხალხის მზარდი რევოლუციური სულისკვეთება.

სასიქადულო შემოქმედმა სანდრო ახმეტელმა იმდენად დიდი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა თეატრის განვითარებაში, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა თეატრის სპექტაკლები მთელი საბჭოთა კულტურის მიღწევად იქნა მიჩნეული.



## ლიბიტრი შოსტაკოვიჩი

მე გავიცანი ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელი 1936 წლის დასაწყისში.

ალექსანდრე ახმეტელის მუშაობას კი მე გავეცანი უფრო ადრე, როდესაც იგი ხელმძღვანელობდა რუსთაველის სახ. თეატრს, რომელიც გასტროლებზე იყო ლენინგრადში. ძალიან კარგად მახსოვს უდიდესი წარმატება, რომელიც წილად ხვდა თეატრს და მის გამორჩეულ ხელმძღვანელს. განსაკუთრებით აღაფრთოვანა მაყურებელი შილერის „ყაჩაღებმა“.

ამ პატარა შენიშვნებით მე არ ვისახავ მიზნად დაწვრილებით და პროფესიონალურად შეეფასო ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელის შემოქმედება. ვალდებული არიან ეს გააკეთონ ჩვენმა ხელოვნებათმცოდნეებმა და საბჭოთა თეატრის ისტორიკოსებმა. მე მინდა მხოლოდ გავუზიარო მკითხველს ჩემი მოგონებანი, მასთან მეტად ხანმოკლე ნაცნობობის შესახებ.

1936 წელს ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელი ჩამოვიდა ლენინგრადში, რათა ემუშავა ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ლენინგრადში ამ ხანმოკლე ყოფნის დროს, მე ხშირად ვხვდებოდი მას. ის მაცვიფრებდა თავისი დაუსრტელი ოპტიმიზმით და საბჭოთა ხელოვნების დიდი მისიის რწმენით. მანამდე ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელი მუშაობდა რუსთაველის სახ. თეატრში. ამ თეატრს შესწირა მან მთელი თავისი ძლიერი ტალანტი. ი. ვანიცლიდა თავის ტრაგედიას ვაკეკაცურად და ურყევად, როგორც ეს დიდ ხელოვანს შეეფერება. ამ მხნეობას ის იკრეფდა თავისი სიბერისთვის ღრმა რწმენიდან, თავისი ძალის რწმენიდან, მხურვალე სიყვარულიდან თავისი

ხალხისადმი. ერთხელაც არ მინახავს მე იგი სულით დაცემული. პირიქით: იგი მხურვალედ და შთაგონებული ფიქრობდა თავის შემოქმედებითს შთანფიქრზე, მის შემდგომ მუშაობაზე კიროვის სახ. თეატრში. მაგონდება: მას ძალიან უნდოდა „თავად იგორის“ დადგმა. ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელი ცხოვრობდა მაშინ სასტუმრო „ასტორიაში“. მას ბევრი ხალხი ეხვია გარს, მიუხედავად ამისა ის ყოველთვის იყო ყურადღებიანი და სტუმართმოყვარე. იყო ძალიან უბრალო და გულისხმიანი თავისი მეგობრებისა და ნაცნობებისადმი დამოკიდებულებაში, რაც ჯეროვანია დიდი ადამიანისთვის. მასში საოცრად ლამაზად იყო შერწყმული დიდებულება და თავდაბლობა. არ დასცალდა განხორციელებია თავისი შემოქმედებითი გეგმები. ლენინგრადში მან ცოტა ხანს დაჰყო. ამის შემდეგ იგი მალე დაიღუპა.

საბჭოთა საზოგადოებრიობა პატივს სცემს ამ შესანიშნავი ოსტატის წმინდა ხსოვნას. ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელის ნათელი ხსოვნის უკვდავყოფა იქნება საბჭოთა თეატრალური ხელოვნების და განსაკუთრებით, რუსთაველის სახელობის თეატრის შემდგომი შემოქმედებითი წინსვლა.

ა. ვ. ახმეტელის სახელი, ისეთი დიდი ოსტატების სახელებთან ერთად, როგორებიც იყვნენ: ვ. მიეიერჰოლდი, კ. სტანისლავსკი, ელ. ნემიროვიჩ-ჩანჩენკო, სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ხალხის ხსოვნაში.

დე, ჰყვარაღეს საბჭოთა ხელოვნება, რომელსაც მიუძღვნა ა. ვ. ახმეტელმა თავისი შესანიშნავი ცხოვრების გზა.

## იოზეფ იუზოვსკი

სანდრო ახმეტელის ხელოვნება, ისევე როგორც მისი პიროვნება, ჩემი თეატრალური ცხოვრების უძლიერეს შთაბეჭდილებას ეკუთვნის. თუმცა მას შემდეგ, რაც სანდრო აღარ არის, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მაინც ხშირად წარმომიდგება ის თვალწინ, მე ის მაგონდება და, როგორც იტყვიან ხოლმე, გათენებამდე მას ვესაუბრები. ამ საუბარს მიცვა-

ლებულთან ზოგჯერ უფრო ცოცხლად აღვიქვამ, ვიდრე საუბარს ზოგიერთ ჩვენ თანამედროვე ხელოვნების მოღვაწესთან.

ახმეტელის ხელოვნებას ჩემი ცნობიერებიდან ვერ გამოსდევნის სცენის ისეთ ოსტატთა ხელოვნება, როგორებიც იყვნენ სტანისლავსკი, მიეიერჰოლდი, ვანტანგოვი და სხვები. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც ხე-



ლოვნების დარგში ისტორია წესრიგში მოიყვანს თავის საქმიანობას უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, სანდრო ახმეტელის სახელს იგი ჩვენი ქვეყნის რეჟისორთა პირველ რიგში დააყენებს უთუოდ.

მისი ხელოვნება არ ეკუთვნის მხოლოდ წარსულს და ამაოდ თვლიან ზოგიერთები, რომ თითქოს ახმეტელის მემკვიდრეობა მხოლოდ თეატრის ისტორიკოსთა საქმე იყოს. არა, თანამედროვენი, — რატომღაც მგონია, რომ შთამომავლები, იპოვნენ ახმეტელის მიერ დატოვებულ საგანძურში იმას, რასაც ეძებენ. ახლა მათ ჰგონიათ, რომ ასეთ ვერ ჰპოულობენო, მაგრამ საკმარისია მიიხედ-მიიხედონ და აღმოაჩინენ საფეხურებს, რომლებიც მათ აღსვლაში დაეხმარებათ.

ახმეტელის ხსოვნას რომ ნამდვილად ეცეს პატივი, რომ მაყურებლის ახალმა თაობამ (და არა მარტო საქართველოში) ნახოს, რატომ არ უნდა აღადგინოს რუსთაველის სახელობის თეატრმა ისეთი სპექტაკლი, როგორიც იყო „Jn Firannos“, შილერის „ყჩაღები“. თუ არ ვცდები, ყველა მისი მონაწილე და იმ დროს სახელმძღვანელო ორივე აკაკი ცოცხალია. დარწმუნებული ვარ, რომ თუ კი ეს სპექტაკლი აღდგება იმავე ნერვით, იმავე ვატაცებით, როგორითაც რეჟისორმა ხიზლავდა ყველას, დღეს ის ყველას განაცვიფრებს, გამოიწვევს აღტაცებას, ენთუზიზმს. დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდა რეჟისორები და მსახიობები თავიანთ სულში იგრძნობენ გამომძახილს, პასუსს მრავალ ძიებაზე და ასეთი წახალისების წყალობით, გააგრძელებენ ქართული და საერთოდ საბჭოთა თეატრის ჰეროიკულ-რომანტიკულ ხაზს. ამ სპექტაკლის აღდგენა სიყვარულით, ყველა თავისი დეტალებით და სინატიფით, მისი მთელი ახალგაზრდული მგზნებარებით (ახალგაზრდობას კი ხომ ჰყავს მემკვიდრეები, ქართული თეატრის ახალგაზრდა ძალებში), ქართული თეატრის მოღვაწეთა წმინდა მოვალეობაა.

ახმეტელი თავისი ბუნებით თანამედროვეა და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დღევანდელი თეატრის შენებაში. პირველად რომ ვნახე ახმეტელის სპექტაკლები, გამაოცა მისმა ენერგიამ, არა უბრალო, პირადად ენერგიამ, როგორც ადამიანისა და ხელოვანისამ, არც მისმა როგორც დამდგმელის ენერგიამ, არამედ მისი ხელოვნების ენერგიულმა სტილმა, მისთვის დამახასიათებელი იყო ენერგიული ხელწერა.

ჩემთვის ვასაგებია, რომ იგი არ იქნებოდა სამხატვრო თეატრის ზოგიერთ ტრადიციას. თუმცა ახმეტელი ამ თეატრს ძალიან აფასებდა, მაგრამ არ სთვლიდა მას თანამედროვე ხელოვნების ერთადერთ და მონოპოლურ გამოშვებად, თანამედროვე, ჰეროიკული ადამიანის სტილის წარმომქმნელად. ახმეტელის ხელოვნების ვაკაცური სტილი საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა, მაყურებლის გულს იწვინებდა, შესატყვისი გამოძახილი უღვიძებდა და თავისკენ იზიდავდა. ყოველივე ეს ძალიან შორს ღვას იმ ჰერეტიკსა და პეიზაჟობით გაჯერებული ხელოვნებისაგან, რომლითაც გაქლენთილია ზოგიერთი თანამედროვე რეჟისორი. და ეს იმ ეპოქაში, როდესაც ხელოვნების ამოცანა არა მხოლოდ ახსნაა, არამედ, პირველ რიგში, სამყაროს გადაკეთებაა. მე მომხიბლა ახმეტელის ვატაცებამ, ვენამიანობამ. ამისი მას არ ეშინოდა, და რაც უფრო მეტს ბოპოტრობდა ეს ვნება, მით უფრო იმორჩილებდა იგი მას. ვნებიანობას, როგორც თვისებას, იგი თვით ქართველი ხალხის სულის წიაღიდან იღებდა და ვეიზიარებდა ჩვენ ყველას.

როგორც ემოცია, ასევე დამახასიათებელი იყო მისთვის აზრი, მაგრამ ისეთი აზრი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ემოციური, არა შიშველი, გატიტვებული, აბსტრაქტულ-ვაკვეთილი, რომელსაც ზოგიერთი ტენის-მჭვლეტელი მაყურებელს აწვდის ინტელექტუალიზმის ნიშნის ქვეშ. ახმეტელის აზრი დაკავშირებული იყო ადამიანის ან მასის სხეულთან. ცოცხალ, ძლიერი ადამიანთა წარმართულ-საზიემო სტიქიის მსუყე ფერებთან (ძნელად დასახელებთ რეჟისორს, რომელიც სცენაზე მასას გრძნობდეს ისე, როგორც ახმეტელი გრძნობდა). განა ამას არ ელის ჩვენი თანამედროვე? მე ვეკითხები ჩემ თავს, ახმეტელი რომ ცოცხალი ყოფილიყო, შესძლებდა, თუ არა დაედგა სპექტაკლი, მაგალითად, მეზროლ კუბაზე ან კოსმოსურ გაფრენაზე, ისე რომ ყველაფერი: დედამიწაც, პლანეტებიც, მათ შორის ადამიანებიცა და ხალხიც ამ მოვლენით შეპყრობილი გვეგრძნო სცენაზე? შესძლებდა ამის ჩვენებას? მე მგონია, რომ შეძლებდა ერთი პირველთაგანი.

ერთი სიტყვით, საბჭოთა ხელოვნების ყველა მეგობრის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ვილაპარაკოთ ახმეტელის არა შეცდომებზე, არამედ მის მიღწევებზეც, რომ დაეუბრალოთ ახმეტელი იმ მილიონობით მაყურებელს,

რომელსაც იგი ძალით მოსწყვიტეს. მის გარეშე ძნელია მთლიანად წარმოვიდგინოთ ის სა-

ოცრება, რაც ჩაქსოვილია სიტყვაში ატრი.

### ვახტანგ ზაბუშკიანი

ჭაბუკობაში ხშირად მსმენია ალტაცებული მსჯელობა სანდრო ახმეტელზე. მის თეატრსა და სპექტაკლებზე. წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე „ყაჩაღებმა“. სანდრო ახმეტელის სახელი მუდამ მალეღვებდა, მისი შემოქმედება ალაგზნებდა ჩემს წარმოდგენას.

1936 წელს პირადად შევხვდი ს. ახმეტელს ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. იგი ბოროდინის ოპერას „თავად იგორს“ დგამდა. საოპერო დასი აღფრთოვანებული იყო ს. ახმეტელის შემოქმედებითი პრინციპებით, მსახიობებთან მუშაობის მეთოდით. მის დიდ ნიჭსა და მკაფიო ინდივიდუალობაზე მთელი ლენინგრადის თეატრალური საზოგადოებრიობა ერთხმად ალაპარაკდა.

სანდრო ახმეტელს უდიდეს ფიგურად ვთვლი ხელოვნებაში. განსაკუთრებით მიტაცებდა მისი თეატრის განუმეორებელი თვითმყოფადობა, ეროვნული ბუნებით განპირობე-

ბული ემოციურობა, მგზნებარება, რიტმულობა.

იგი მუდამ სამაგალითო იყო ჩემთვის, ვოცნებობდი გავმხდარიყავი ამ მიმართულების რეჟისორი. ამიტომაც ვანაობ, რომ არ ვიცნობდი ს. ახმეტელს ახლოს, არ ვყოფილვარ შემოქმედებითად დაკავშირებული მასთან.

ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი მოკონებაა, როდესაც ნიუ-იორკში გარნეგი-პოლში გამოსვლის შემდეგ მივიღე ს. ახმეტელის გულთბილი დეპეშა მხურვალე მოლოცვებით, საუკეთესო სურვილებით. მასში ამოვიკითხე თანამემამულის წარმატებით აღელვებული დიდი პატრიოტის სიხარული. ეს იყო ერთადერთი დეპეშა საქართველოდან.

დღემდე გულისტკივილით ვიკონებ ამ დიდი შემოქმედის უდროოდ წასვლას ხელოვნებიდან. იგი მოწოდებული იყო შეექმნა ბევრი რამ განუმეორებელი, არა მარტო ქართულ თეატრში, არამედ საზოგადოდ დიდსა და საყოველთაო ხელოვნებაში

### დავით ანდლუაძე

სანდრო ახმეტელის შემოქმედებაზე ბევრი დაიწერა და კვლავაც ბევრი დაიწერება. ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე მან ისეთი შედეგები შექმნა, როგორც იყო: „ლამარა“, „ანზორი“, „ყაჩაღები“, „რღვევა“.

გაცხდა რა საქართველოს ფარგლებს, რუსთაველის თეატრმა, მიუხედავად მკაფიო ეროვნული სახისა და თვითმყოფადობისა, საყოველთაო აღიარება მოიპოვა. თვით უცხოელებიც კი სანდრო ახმეტელის სპექტაკლებს ახალ სიტყვად სთვლიდნენ თეატრალური ხელოვნების ისტორიაში. იგი აღიარებული იყო არა მარტო როგორც ეროვნული თეატრის ფუძემდებელი, არამედ როგორც დიდი ნოვატორი.

პირადად ჩემთვის „ლამარა“ ქართული თეატრის სწორუბოვარი ქმნილებაა, ალტაცების გარეშე ამ სპექტაკლის მოგონება შეუძლებლად მიმაჩნია.

სანდრო ახმეტელს გავეცანი 1924 წელს თბილისში ჩამოსვლისთანავე. იგი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრ-

და თაობას, დაინტერესებული იყო ქართველი ვოკალისტების ზრდით, ვინაიდან ვოკალურ ხელოვნებას ეროვნული კულტურის ერთ-ერთ მძლავრ გამონატულებად სთვლიდა. დაინიშნა ჩემი დებიუტი. ეს იყო რიჩარდის პარტია ვერდის „ბალ-მასკარადში“. იმჟამად თბილისის საოპერო თეატრში არც ერთი თვალსაჩინო რეჟისორი არ მოღვაწეობდა. ვგრძნობდი რა ს. ახმეტელის კეთილსა და გულისხმიერ დამოკიდებულებას, გაგზედე დ ვთხოვე ემუშავა ჩემთან რიჩარდის სახეზე.

დებიუტი წარმატებით ჩატარდა. მოწინავე ქართული საზოგადოება ესწრებოდა ამ წარმოდგენას. დაუეწიყარია ჩემთვის მსცოვანი მწერლის დავით კლდიაშვილის განცვიფრება: „ნუთუ ეს დებიუტანტია, ასე თავისუფლად რომ მოძრაობს სცენაზე? ცხადია, ეს ქება უფრო სანდროს ეკუთვნოდა.“

1926 წელს სანდრო ახმეტელმა, საოპერო სტუდიის ძალეებით, რუსთაველის თეატრის სცენაზე „ჯამბაზები“, დადგა ლეონკოვალს



ობერა ქართულ ენაზე აქლერდა. დირიჟორობდა ივანე ფალიაშვილი. ეს იყო ბრწყინვალე წარმოდგენა, აღსავსე ვნებათა ლღვით, განცხადათა სიწრფელითა და სიმძაფრით. ს. ახმეტელის დადგმაში ლიონკოვალოს მგზნებარე მუსიკამ ჭკუშარიტად შესატყვისი და ტოლფასოვანი სცენური ხორცშესხმა ჰპოვა. რეჟისორმა ახალბედა მსახიობები მოდრიკა, ამოქმედა, პლასტიკური გამომსახველობით აამეტყველა ნათი სხეულები. მან შექმნა მხატვრულ სახეთათოეული გმირი მკაფიო მხატვრული ხასიათით და ტემპერამენტით გამოირჩეოდა. მასობრივ სცენებში რუსთაველის თეატრის დასი მონაწილეობდა. მასის თითოეული წევრი გაბიროვნებული იყო, თითოეულისათვის მონახული იყო განსაკუთრებული სცენური პოზიცია, ინდივიდუალური გამომსახველობითი საშუალება. ხალხმრავალი წარმოდგენა ერთი მძლავრი მაჯისცემით ფეთქავდა. ეს სპექტაკლი საოპერო შტამპის გადაღახვის იშვიათი ნიმუში იყო. ს. ახმეტელის მიერ დადგმული „ჯამბაზება“ სტუდიის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მიუღწევად მხატვრულ მოვლენად რჩება.

1932 წელს თბილისის საოპერო სცენაზე ს. ახმეტელის მიერ დადგმულ ფემელიდის ოპერა „რღვევაში“ გაღუნის პარტიას ვასრულებდი. მთელი დასი დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა ამ ოპერაზე. შემოქმედებითი წვა და გატაცება ყველას ეკიდებოდა, სხვაგვარად ს. ახმეტელის რეპეტიციებზე ყოფნა შეუძლებელი იყო.

ს. ახმეტელი სინთეტურ თეატრს ქმნიდა, მის რეჟისორულ ხელწერას მუსიკალობა მუ-

### სერგო ქობულაძე

რუსთაველის თეატრში 1932—1933 წლებში მივედი. ეს იყო „ინ ტირანოსის“ დადგმის წინა დღებში. ჩემი პირველი ნამუშევარი ს. ახმეტელთან იყო კოსტიუმები „ყაჩაღებისათვის“ (შემდეგ კი გავაფორმე „ნაბიჭვარი“, „მესაათე და ქათამი“).

მისვლისთანავე დაძაბულ და მღელვარე შემოქმედებითს გარემოში აღმოვჩნდი. თეატრში მკაცრი დისციპლინა, შემოქმედებითი წვა და გატაცება, სერიოზული პროფესიული დამოკიდებულება სუფევდა, ასეთ ატმოსფეროს თვით სანდრო ახმეტელი ქმნიდა.

მუშაობას შევედევნი და მაშინვე ვიგრძენი

დამ თან ახლდა, ამიტომაც საოპერო ახლობელი იყო მისთვის. ოპერის მუსიკალურ-სინთეტურმა ბუნებამ ფართო გასაქანი მისცა ახმეტელის ნიჭსა და მხატვრულ პრინციპებს. მას საოპერო სპექტაკლის ყველა კომპონენტის გამახვილება და ამავე დროს მათი მთლიანობაში შერწყმა ემარჯვებოდა. განსაკვიფრებელი იყო მისი ნიჭი მუსიკალური პარტიტურის აღქმასა და შემეცნებაში. საოპერო სცენაზე იგი ეჩრწავდა ისეთ მხატვრულ სახეებს, რომელთა პლასტიკური მოქნილობა, სცენურ მოძრაობათა ნახაზი პარმონიულად ერწყმოდა მუსიკალური მასალის პლასტიკურ მონახაზს. მუსიკალობა, რიტმი, ტემპერამენტი, პლასტიკურობა, დინამიკა სიცოცხლით ავსებდა საოპერო სცენას, ჭკუშარიტ ცხოველმყოფელობას ანიჭებდა მუსიკალურ პარტიტურას. ასეთი იყო ჰეროიკულ-რომანტიკულ პლანში გადაწყვეტილი „რღვევა“ ფიქრობ, მაღალ-მხატვრულობით იგი დრამაში დადგმულ სახელგანთქმულ „რღვევას“ არ ჩამოუვარდებოდა.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ შემოქმედებითად დაკავშირებული ვიყავი ს. ახმეტელთან. საამაყო მისი ჩემდამი გულისხმიერი და მეგობრული დამოკიდებულება.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ს. ახმეტელის იშვიათი გულუხვობა, კაცთმოყვარეობა, თუ კი ვინმეს — სტუდიელსა თუ მსახიობს ხელმოკლეობას შეამჩნევდა, უკანასკნელს განიეტებდა, გაჟაკურად დაეხმარებოდა, ხელს გაუწოდებდა წინააღმდეგობათა გადასალახავად.

სანდრო ახმეტელის შემოქმედება განუმეორებელი მხატვრული მოვლენაა.

ახმეტელის მკაფიო ინდივიდუალობა: სპექტაკლზე მუშაობის დაწყებამდე იგი სრულ თავისუფლებას აძლევდა მხატვრებს. ძუნწად გამოთქვამდა აზრებს პიესისა და დადგმის ირგვლივ. და აი, მაკეტი და ესკიზები მზად იყო მათი დანახვისთანავე ს. ახმეტელის მხატვრული შემოქმედება იწყებდა გაღვივებას, მაკეტი იყო სტიქიური შემოქმედებითი პროცესისათვის, მხატვრული აზროვნების ინტენსიური და ლოკიკური განვითარებისათვის. ამ მომენტიდან იგი უკვე პერსპექტივაში ხედვანდა მთელ წარმოდგენას, კომპოზიციას, მიზანსცენებს, მხატვრულ სახეებს. იწყებოდა მხატვრული



„წვალბა“. დაუსრულებლად მოითხოვდა მკე-  
ტის ახალ-ახალ ვარიანტებს, შექმნდა კო-  
რექტივები მანამ, სანამ არ მიიღებდა თავისი  
რეჟისორული პარტიტურის შესატყვისსა და  
ზუსტ დეკორატიულ საფუძველს, სპექტაკლის  
ფერწერულ სამოსელს.

1935 წ. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცი-  
ებზე მუშაობას შეუდგენი. მოვასწარი კიდევ  
მეჩვენებინა მისთვის ამ სერიის პირველი ორი  
ორიგინალი. მაშინ გამოვიარა ახმეტელმა „ვე-  
ფხისტყაოსნის“ დადგმის ჩანაფიქრი. მას გან-  
ზრახული ჰქონდა შოთა რუსთაველის პოემის  
დადგმა არქაული სისადავით, მონუმენტური  
ფორმებით, ანტიკური ხელოვნების კლასიკური  
მკაფიოებით. იგი წინააღმდეგი იყო მძიმე,  
დრამატული ჩაცმულობის, ფიქრობდა პოე-  
მის გმირების შემოსვას ისეთი სადა და მარტი-  
ვი ტანისამოსით, რომელიც გამოავლენდა სხე-  
ულის სიძლიერეს, კუნთოვანებას, პლასტიკას.

მსგავსი კოსტიუმები მოითხოვა მან კარლ  
მოროსისა და მისი თანამებრძოლი ყაჩაღებისა-  
თვის, რათა გმირთა სულიერი სიძლიერე, ბუნ-  
ტარული მიზანსწრაფვა თვით სხეულის ძალა-  
ში, კუნთმაცარ ფიგურებში გამოეხატა.

სანდრო ახმეტელი მონუმენტურ თეატრს  
ქმნიდა. მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის  
ახლოებული იყო შილერი, ალბათ ამიტომაც მუ-  
დამ იცნებობდა სოფოკლესა და შექსპირზე.

სანდრო ახმეტელი მოითხოვდა ისეთ დეკო-  
რატიულ კონსტრუქციას, რომელიც დიდ სცე-  
ნურ სივრცეს მისცემდა. სივრცის სამივე გან-  
ზომილებას ავსებდა შემოქმედებით, პლასტი-  
კური მოძრაობებით, კომპოზიციით, მიზანსცე-  
ნებით. იგი დეკორაციების გათამაშების სწორ-  
უპოვარი ოსტატი იყო. დანადგარზე არ რჩე-  
ბოდა არც ერთი გაუთამაშებელი წერტილაც  
კი. დადგმის პროცესში მისი შემოქმედებითი  
ყურადღება არასოდეს არ წვრილმანდებოდა,  
იგი არ მისდევდა დეტალიზაციას, პირიქით,  
ფართო განზოგადოებებისაკენ მიილტვოდა. ახ-  
მეტელს გააჩნდა არსებითი გამოკვეთის საო-  
ცარი ნიჭი, პიესის დიდაზარის გამოძერწვისა  
და მისი ნერვის გამიშვლების უნარი. იგი ხოპ  
მასობრივი სცენების დიდოსტატი იყო. მასის  
თითოეული მონაწილისათვის ნაპოვნი ჰქონდა  
ინდივიდუალური გამომსახველობითი შტრაჰი,  
პლასტიკური მონახაზი, რომლითაც ხსნიდა შა-  
ნაგან არსს, პიროვნულ ბუნებას. ყოველივე ეს  
მოცემული იყო ჰარმონიულ მთლიანობაში.

ს. ახმეტელი ამჟღავნებდა ფართო განათო-  
ლებას იმ საკითხთა სფეროში, რომელიც წა-  
მოიჭრებოდნენ ხოლმე ამა თუ იმ მხატვრულ  
მოვლენისა თუ პრობლემის განხილვისას. თუმ-  
ცა არასოდეს მისწრაფოდა გონებრივი თვალ-  
თახედვის გაღრმავებისაკენ, ასე ვთქვათ გა-  
ნათლებისა განათლებისათვის. იგი, საკუთარი  
კონცეფციების. იდეებისა და შეხედულებების  
მატარებელი — ჭეშმარიტი მოაზროვნე იყო.  
ს. ახმეტელი არ ცდილობდა თავისი შეხედუ-  
ლებების გამტკიცებას სხვისი აზრების, ვა-  
მოკვლევებისა თუ წიგნების დახმარებით.  
ცოდნას, შეხედულებებსა და თვით ჭეშმარიტ-  
ებასაც კი ძირითადად საკუთარი აზროვნებას  
ზიდან ავსებდა. ამიტომ იყო მისი შემოქმედვა  
ცხოვრებულ თვითმყოფადი, განსხვავებული, ორ-  
გინალური.

სანდრო ახმეტელი — ძლიერი პიროვნება,  
ფოლადისებური ნებისყოფისა და მაღალი ინ-  
ტელექტის შემოქმედი, თავისი ნიჭითა და გა-  
ქანებით, განუზომლად მაღლა იდგა მთელ  
კოლექტივზე, ამიტომ ზემოქმედებდა იგი დას-  
ზე, მაყურებელზე, ხალხზე. დასის მეტი ნაწი-  
ლი მისდამი ფანატიკური რწმენით იყო გამს-  
ჭვალული. აკი ზოგიერთი მათგანი მსხვერპლა-  
დაც კი შეეწირა თავის იდეალს — დიდ პი-  
როვნებასა და დიდ შემოქმედს — სანდრო ახ-  
მეტელს.

ეს იყო ჭეშმარიტად რეჟისორის თეატრი,  
რომელსაც ერთი პიროვნება განაგებდა: ახ-  
მეტელი იყო თეატრის სულისჩამდგმელი, მისი  
ბატონ-პატრონი. ამიტომაც იყო მისი თეატრი  
მონოლითური, ერთიანი, ჰარმონიული.

პირადად ჩემთვის კ. მარჯანიშვილისა და  
ს. ახმეტელის თეატრების დამოკიდებულება  
ეს იყო ჯანსაღი შემოქმედებითი ჭიდილი, ზე-  
დღოვნებათა შეჯიბრი. სტიმული დაუცხრომელი  
ძიებისათვის, რომელსაც ესოდენ ორიგინალუ-  
რი თეატრის შექმნა მოჰყვა.

ს. ახმეტელი არასოდეს მინახავს უგუნე-  
ზოდ, დაღვრემილი. იგი ყოველთვის ელვარე,  
ძლიერი და მშფოთვარე იყო. მისი მაყორულო-  
ბა მთელ დასს ამოძრავებდა, ამძლავრებდა,  
რწმენას უმტკიცებდა. როდესაც თეატრიდან  
წასვლა მოუხდა, მაშინაც კი ჩემს წინაშე შე-  
მოქმედებითი იდეებითა და პერსპექტივებით  
აღსავსე წარმოსდგა.

თეატრში მოღვაწეობის მანძილზე არა ერთ  
გამოჩენილ რეჟისორთან მიმუშავია არა მარ-

ტო თბილისში, არამედ მოსკოვშიც. მაგრამ პირადად ჩემთვის სანდრო ახმეტელი ყველა-

ზე დიდი რეჟისორია, ყველაზე თვითმყოფადი პიროვნება და შემოქმედი.

## მასილი კინამაძი

ქართული თეატრის ისტორია და სანდრო ახმეტელის სახელი განუყოფელია, მაგრამ, როგორც ყოველი დიდი შემოქმედი, იგი მარტო ისტორიას როლი ეკუთვნის. ის ცოცხლობს ჩვენს თანამედროვეთა შორის და დღესაც გვაღელვებს მის მიერ აღძრული თეატრალური პრობლემები. მართალია, მისი მოღვაწეობის შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა თეატრალური ტექნიკისა და სცენური საშუალებების სფეროში, მაგრამ უცვლელი დარჩა ახმეტელის თეატრის „ლაშაში არსი“. ტრადიციის ცოცხალი ნერვიც დიდ თეატრალურ მოვლენათა ამ სიღრმეებშია საქიბელი და არა მის ზედაპირზე, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე.

ს. ახმეტელმა, რომელმაც ასე ბევრი რამ ისწავლა კ. მარჯანიშვილისაგან, სავსებით ახალი თეატრალური სინამდვილე შექმნა. მარჯანიშვილისაგან მან მიიღო დიდი თეატრალური პრაქტიკა, ეზიარა მის ვენიას.

ახმეტელი დიდი პოეტური აღმადგენისა და საოცარი თეატრალური ნიღვის რეჟისორი იყო. მისი შემოქმედება გამოირჩეოდა თვითმყოფებითა და მგზნებარე ტემპერამენტით, ვაკეაცური შემართებითა და მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით, „გახელებული თეატრალიზმით“ და პირველქმნილი სიწმინდით. ამ მხრივ იგი კვლავ რჩება გადაულახავ მწვერვალად.

ახმეტელი ფართო შემოქმედებითი ინტერესების რეჟისორი იყო. „ჩვენ არა ვართ ერთი რიტმის თეატრი“, — ამბობდა იგი და გულმოდგინედ ზრუნავდა თეატრის შემოქმედებითი შესაძლებლობის გაფართოებისათვის, მისი მხატვრული პროფილის გამდიდრებისათვის, მაგრამ იგი მუდამ გვახსენებდა, რომ „ჩვენ ვაქვს ჩვენი საკუთარი სახე, საკუთარი სტილი. ეს თუ არ გვექნა, გარდელვალა ეკლექტიზმი. რუსთაველის თეატრს უფლება აქვს სრულიად თავისებური გზა ჰქონდეს საკავშირო თეატრალურ ხელოვნებაში. რუსთაველის თეატრი იცავს თავის განსხვავებულობას. მისი ეროვნული სტილის ხარისხობრივ განვითარებას ინტერნაციონალურისაკენ მივყავართ. აი ჩვენი გზა“.

ახალი თეატრალური გზების ძიება სანდრო

ახმეტელმა თავისი ეპოქის ძირითად ტენდენციების გამოხატვით დაიწყო. მან იცოდა, რომ თეატრში მთავარია „პრობლემების ძიება არა დეკორაციების შეცვლა და სცენის ტრიალი“. იგი მკაფიოდ გაემიჯნა ყოფის, სალონურ თეატრს. „მე არა მსურს ყოფითი თეატრი — აცხადებდა ახმეტელი, — ვერ წარმომიდგენია, რომ ახალი საბჭოთა სინამდვილის ასახვა ყოფითმა თეატრმა შეძლოს. ყოველდღიურ საქმიანობაში მე ვხედავ უდიდესი აზრის მატარებელ გიგანტებს... მე არ ვსახავ, არ ვლაპარაკობ, როგორ მუშაობს, როგორ დადის ტრამვაით საბჭოთა მოქალაქე... მე მინდა ვალაპარაკო იმაზე, თუ რა ახალი აზრებით ცხოვრობს იგი. მინდა ვიხილო გმირები... ჩვენმა თეატრმა ამ დიდი ფორმებით უნდა იაროს. დიდი აზრის თეატრის გარეშე ჩვენი მუშაობა არ შეგვიძლია“.

ეს იყო მისი მრწამსი, მისი იდეალი, და ამ გზით ეძებდა იგი ახალ თეატრალურ საშუალებებს.

როგორც ვხედავთ, ახმეტელი თეატრის ინტელექტუალური სახის პრობლემას უშუალოდ უკავშირებს ემოციური დაძაბულობისა და მიწვევითი ფორმების საკითხს.

გმირობისა და რაინდული მგზნებარების იდეალი ევროპის ან სხვა ქვეყნების თეატრებიდან არ მიუღია ახმეტელს. მან ქართულ სინამდვილეში იპოვნა ეს იდეალი და სცადა მისი თეატრალური განსახიერება. ა. ლუნაჩარსკი ახმეტელის ძიებათა შესახებ ამბობდა: „ეს ცხოველი აქტიური გენიალობა მას ძალდებოდა არ გაუხევეია ევროპის თეატრალურ სამოსში, არამედ, ასე ვთქვათ, ღროვნული ნიჭიერებით აღბეჭდილ მშვენიერ და მძლავრ სხეულს მთარგო ახალი თეატრალური ფორმა“.

მან ისე, როგორც არავინ ქართულ სცენაზე, იგრძნო ხალხის გმირული სული. ახმეტელმა „გამოსახა ხალხის მასებში მათს რევოლუციურ აზვითებაში“ (ა. ლუნაჩარსკი), გვიჩვენა მათი გულწრფელი და გმირული განცდა. მან ცხადყო, რომ გმირული თეატრი „სრულიადაც არ გამოირიცხავს ფსიქოლოგიას და ადამიანურ გრძნობას“ (ე. ბესკინი).

„ანზორის“ მე-3 და მე-4 აქტებზე მასურე-

ბელი უნებლიეთ არდევდა „კარგ ტონს“ და დაუსრულებელ ოვაციას უმართავდა თეატრს. სცენაზე იყო ძველისა და ახლის მძაფრი ჭიდილი. იყო რევოლუციური მგზნებარება და ჰოეზია. სიკვდილი, რომელიც მაღალი აზრისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ეწვეოდა გმირს, იესებოდა ახალი აზრითა და რომანტიკით. ულამაზესი ქალის მიერ ჭაბუკის საცეკვაოდ ან სასიკვდილოდ გამოხმობა შესაბამებოდა ახმეტელის თეატრალური ესთეტიკის იმ იდეალს, რომელსაც მან „რანდელური რომანტიზმი“ უწოდა.

ახმეტელის ამ სპექტაკლში მოცემული იყო მასისა და ინდივიდის მრავალმხრივი ჭიდილი. ამ ჭიდილში იწრთობოდა და იბადებოდა ახალი ადამიანი. ამ ადამიანს ჰქონდა ძლიერი რწმენა, ნების სიმტკიცე და მაძიებელი სული. იგი ვაჟკაცურად ეძებდა ცხოვრების გარდამტეხელ საშუალებებს, მან არ იცოდა სიძაბუნე. მის სულს მუდამ ავსებდა სიდიადე მისწრაფებთა და ახალი სამყაროს ესთეტიკური განცდის მშვენიერება.

ასე სურდა ახმეტელს სიჭაბუკეშიც. იგი ამბობდა, რომ ქართულმა თეატრმა უნდა შექმნას და სრულყოს „ქართველის ადამიანის სულის ფორმები“, მან უნდა მოგვეცეს ახალი სახე ქართველი კაცისათ.

გამართლდა სიჭაბუკის ნაოცნებარი... 1933 წელს მოსკოვში გასტროლების დროს პირდაპირ ითქვა: „ჩვენ ვნახეთ კოლექტივი, რომელიც არც ერთ წუთს არ ივიწყებდა ხელოვნების დიდ დანიშნულებას: განასახიეროს სინამდვილე, ისე გარდაქმნას და აღზარდოს ხალხი, რომ იგი დაუახლოოს ახალი ადამიანის იდეალს“ (ნ. გონჩაროვა).

თავისი თანამედროვეობით სუნთქავდა ახმეტელის მთელი შემოქმედება. „ანზორი“, „რღვევა“, „თეთნულდი“, „ქართა ქალაქი“ წარსულის ისტორიას როდი ასახავდა. რევოლუციური რომანტიკის სკაფი, რომელიც ასე ძლიერი იყო ამ სპექტაკლებში, სავსებით შესაბამებოდა მასურების სულიერ მისწრაფებას. გამოხატავდა თეატრისა და აუდიტორიის ინტერესებთა ერთიანობას.

სანდრო ახმეტელის სპექტაკლებს — „ყაჩაღებს“, „ანზორს“, „რღვევას“, „ლამარას“, ტრიუმფალური წარმატება ხვდა მოსკოვში. მოსკოველი და უცხოელი მასურებლებისათვის ახმეტელის თეატრი ნამდვილი სასწაული იყო. მათ წინ გადაიშალა სრულად ახალი თეატრა-

ლური სამყარო, რომელმაც შესძრა და ააღმტკიცა ისინი. სრულიად არ ელოდნენ, რომ საღლაც „თეატრალურ მექანადან“ შორს, ე. წ. „პროვინციაში“ იქმნებოდა უდიდესი თეატრალური კულტურა. „მაზე არაფერ არაფერი არ იცოდა და, ცოცხა არ იყოს, გვააყვებდა. თუ როგორ მოხდა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი თეატრალური მოვლენა აკვირტდა და გაიფურქუნა არა მხოლოდ „თეატრალურ მექაში“, არამედ „მომორებით“ (ვ. ბლიუმი).

ჩვენ კანონიერი სიამაყით ვკითხულობთ სიტყვებს, გულწრფელ სტრიქონებს ახმეტელის ძიების შედეგებზე გარკვევით ნათქვამს „ახმეტელის თეატრი როგორღაც ბუნებრივად მივიდა თეატრალური ბელადის მდგომარეობამდე“. — წერდა იგივე კრიტიკოსი.

ახმეტელის ენერგიულმა, ვაჟკაცურმა თეატრალურმა სტილმა, მისმა მძლავრმა შემოქმედებამ შორს გაუთქვა სახელი ქართულ თეატრს. ამისათვის ლოცავდა ახმეტელს ძველი ქართული თეატრის პატრიარქი ე. გუნიაც. „ჩემო სანდრო, — წერდა იგი, — ყმაწვილობაში ფრთების შესხმას და ფრენას იყავი მოწადინებული, მაგრამ რომელი ფრენა შეედრება იმ მძლავრ გაქანებას, რომელიც შენ გამოიჩინე ეროვნული ხელოვნების დარგში! ესხარ რომ მოგვედო, არას ვინაღვლი, რადგან ჩემი თვალით ვნახე, ის, რაზეც ვოცნებობდი, რასაც სიზმრად ვლამობდი... ბედნიერი ხარო, ჩვენზე უფრო ბედნიერი, რომ თქვენ წილად გხვდათ საქართველოს სულის უკვდავების მტკიცება და დაღადისი!“

იგი უარესად მომთხოვნი, კრიტიკული იყო თავის ძიებაში. მის დღიურებსა და სიტყვებში, სარეპეტიციო ჩანაწერებში ხშირად შევხვდებით სხვადასხვა შენიშვნას: „თეთნულდში“ არ იქნება არავითარი სვანურა კილო, სცენაზე წარმოიქმნება „დარბაისლური ქართული“, „დაუშვებელია“ „ანზორისა“ და „ლამარას“ კილო სხვა სპექტაკლებში“. ხოლო 1935 წელს „არსენას“ დასადგმელად რომ ემზადებოდა, წერდა: „არსენას“ დადგმის დროს ჩვენ არ უნდა მოვექცეთ „ანზორის“ და „ლამარას“ გავლენის ქვეშ“, იგი არ უნდა ჰგავდეს არც ერთს, მაგრამ უნდა მივიღოთ იმავე სისტემის წარმოდგენა“ და იქვე შენიშნავდა: „ახლა, როგორც არასდროს, ისეა საჭირო ჩვენი მუშაობის სისტემის ანალიზი, შემოწმება და განსაზღვრა ახალ მწვერვალებთან მისასვლელი გზებისა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვეძებთ დიდი



სათეატრო მწვერვალებს გზებს, ვეძებთ ქედუხრელად. მაგრამ ამ ძიებაში ჩვენ მომთხოვნი და კრიტიკულნი უნდა ვიყოთ ჩვენი განვლილი გზისა და პერსპექტივების მიმართაც“.

სანდრო ახმეტელს ბევრი რამ დარჩა უთქმელი, ბევრს მოელოდა მისგან ქართული საბ-

## ბრიგოლ ბუნხიკაშვილი

1930 წლის შემოდგომაზე ერთმა ჩემმა მეგობარმა მანქანაზე გადაბეჭდილი პიესა მომცა და მითხრა: „ახალი ნაწარმოებია, ავტორმა მოსკოვიდან გამომიგზავნა. წაიკითხე. მგონია, ქართული სცენისათვის საინტერესო იქნება“. ეს იყო ვ. შვგარკინის კომედია „სხვისი ბავშვი“.

საინტერესო შინაარსი, მართალი, ცოცხალა სხელები, შესანიშნავად აწყობილი კომედიური კვანძი, — აი რა ახასიათებდა ამ ნაწარმოებს. მთავარი კი იყო მისი იდეური სიძლიერე. კომედია ლაპარაკობდა საბჭოთა ადამიანის ჰალალ მორალურ თვისებებზე, გმობდა წარსულის გადმონაშთებს ადამიანის შეგნებაში.

სწორედ იმ დღეებში შევხვდი სანდრო ახმეტელს, ლაპარაკი ჩამოვარდა საბჭოთა კომედიაზე. წუხდა, თეატრის რეპერტუარში თანამედროვე შინაარსის რიგიანი კომედია არა მაქვსო. ერთადერთი მართლაც კარგი ნაწარმოებია მხოლოდ. ბ. კაკაბაძის „უვარყვარე თუთაბურია“ და მერე ხეირიანი არაფერი დაწერილაო.

გუთხარი, ხელთა მაქვს ვ. შვგარკინის ახალი კომედია-მეთქი. გაეხარადა, მასზე ბევრი კარგი რამ შემატყობინესო მოსკოვიდან, და მთხოვა მიმეცა წასაკითხად.

მეორე დღეს გახარებული შემხვდა: მგონა, მივაგენით კარგ კომედიასო. — პიესა მოსწონებოდა და უკვე გადაეწყვიტა დადგმა მთხოვა დაუყოვნებლივ გადმოიქართულებინა. შეუფიქრიალდი. რამდენად მისადაგებოდა ბიეა ქართულ ყოფას? კომედიის ზოგი პერსონაჟი თავისი ქცევით, სიტყვით, ქართველად ძნელა წარმოსადგენი იყო. ახმეტელმა მიპასუხა, მაინცდამაინც არ ვემხრობი გადმოკეთებას, მაგრამ „ანზორის“ დიდმა წარმატებამ დამარწმუნა, რომ ზოგ შემთხვევაში გადმოკეთება ორიგინალურზე არა ნაკლებ შთამბეჭდავია. მოდი, ვცადოთ, იქნება ამ შესანიშნავ კომედიას მოვუძებნოთ ქართული იერსახე, დასანანი იქნება, თუ კომედიის შესანიშნავ თანამედროვე

ჭოთა თეატრი, მაგრამ იმით, რაც შექმნა, როგორც გამოჩენილი საბჭოთა ხელოვანი კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი ამბობს, მისი სახელი, ისეთი დიდი ოსტატების სახელებთან ერთად, როგორც იყვნენ ვ. მეერხოლდი, კ. სტანინსლავესკი, ვ. ნემიროვიჩი-დანიჩენკო, სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ხალხის სსოვნაში“.

შინაარსსა და დრამატურგიულ წყობას ქართულ სცენაზე ვერ გამოვიყენებთო.

გვიან ღამით დამთავრდა ჩვენი ბაასი. ბევრი დეტალი გამოვძებნეთ ნაწარმოების ქართული ვარიანტისათვის. მეორე საღამოსაც შევიკრიბეთ. ძიებაში ჩაება აკაკი ვასაძე და მან ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა მთავარ გმირზე. თანდათან გაიჭკა, ვინ ითამაშებდა ამა თუ იმ როლს და საშუალება მომეცა ამის მიხედვით ამეწყო ქართული სცენური სახეები. ასე შეიქმნა მოხუცი კომპოზიტორი შერმაღინი, მისი მეუღლე იალონა, მათი ქალიშვილი დარიკო, სტუდენტები ბუნხუტი და ლუტუშა, ინჟინერი დენიზი და სხვები, მთავარ გმირს ბილატე დავარკვით. ამ როლის შემსრულებელი აკაკი ვასაძე თავისებურად საინტერესოდ ფიქრობდა როლის გამოკვეთას. პიესას ვუწოდეთ „ნაბიჭვარი“. ს. ახმეტელის აზრით, ეს ქართული სიტყვა უფრო სწორად განმარტავდა მოთხრობილ ამბავს, ვიდრე, „სხვისი ბავშვი“.

ამრიგად, სანდრო ახმეტელისა და აკაკი ვასაძის დახმარებით საცნებოთ ვავარკვით კომედიის ქართული აღნაგობა და ხასიათი. ამან საკრძნობლად გამიადვილა პიესის გადმოკეთება, თუმცა მაინც ძნელი იყო სისრულით გადმომეცა ვ. შვგარკინის შესანიშნავი მახვილი დიალოგები და მოსწრებული სიტყვები. ახმეტელი მაჩქარებდა წერას. პირველი აქტი დაგასრულეთ თუ არა, ვუჩვენე და ბევრი შესწორება შემიტანინა. ასევე მოხდა სხვა აქტების დასრულებისას. თვენახევარში მუშაობა დაგამთავრე. პიესის მთლიანად წაკითხვისას და დადგმის მზადების პროცესშიც ვაკრძელდა კომედიის გამდიდრება მახვილი სიტყვით.

კომედია მაყურებელს უჩვენეს 1934 წლის აპრილის დამდეგს. მაყურებელს ძალზე მოეწონა და დარბაზი მუდამ გაჭედილი იყო ხალხით. წარმატება განაპირობა ვ. შვგარკინის დრამატურგიულმა ნიჭმა, სანდრო ახმეტელის

ოსტატურმა დადგამა და მსახიობთა ნიჭიერა  
თამაშმა.

„ნაბიჭვარი“ სანდრო ახმეტელის უკანასკ-  
ნელი დადგმა იყო არა მარტო რუსთაველის

თეატრში, არამედ საერთოდ. ეს სპექტაკლი მი-  
სი რეჟისორული შემოქმედების უკანასკნელი  
ნიშნითაც გახდა.

### სანდრო ახმეტელის უსწოზი რეჟისორი

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩერნინის სახე-  
ლობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერების  
განყოფილებაში დაცულია კომპოზიტორ მ. მ.  
იპოლიტოვ-ივანოვის პირადი არქივი, სადაც,  
სხვა ხელნაწერებთან ერთად ინახება ოპერა  
„ნესტან-დარეჯანის“ ლიბრეტოს რამდენიმე  
ვარიანტი, რაც მოწმობს კომპოზიტორის გულ-  
დასმით მუშაობას მუსიკალური ფორმის ძიებ-  
სათვის ქართული ეროვნული ოპერის შესაქმ-  
ნელად. ლიბრეტოს თავფურცელზე ვკითხუ-  
ლობთ:

«Нестан-Дареджан»

Эпизод из поэмы «Барсва-кожа» Шота  
Густавели. В 4-х актах, 5 картинах. Подст-  
рочный перевод Вано Мачабели. Либретто  
и музыка М. М. Ипполитов-Иванова».

იმავე მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწე-  
რების ფონდში დაცულია ქართული თეატრა-  
ლური კულტურისათვის ძვირფასი დოკუმენ-  
ტი, გამოჩენილი რეჟისორის სანდრო ახმეტე-  
ლის მიერ 1925 წ. დაწერილი რეცენზია, რო-  
მელიც ეხება შოთა რუსთაველის სწორუბოვა-  
რი ოპერის „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდებზე  
შექმნილ პირველ ქართულ საოპერო ლიბრე-  
ტოს „ნესტან-დარეჯანს“. რეცენზია დაწერი-  
ლია რუსულ ენაზე და ვფიქრობთ არ არის ან-  
ტერესმოკლებული მისი მთლიანად აქ მოტანა,  
მით უმეტეს, რომ იგი პირველად ნახულობს  
დღის სინათლეს.

„შეიძლება თუ არა რუსთაველის ნაწარმო-  
ებიდან მარტო რომელიმე ეპიზოდის სიუჟე-  
ტად აღება?

მე ამ საკითხს ვაყენებ თავიდანვე მხოლოდ  
იმიტომ, რომ ორგანიულად ძნელია დრამატი-  
ული მოქმედების გაშლა, ან უფრო სწორედ,  
სრულებით არ შეიძლება.


ლიბრეტოში ტარიელის პირადი ტრადე-  
დიის მთავარ ღერძად აღება ასევე შეუძლებე-  
ლია, რადგან მთელი ტრადედია, საბოლოო ჯამ-  
ში, მოქცეულია მის ინტიმურ ჩარჩოში. თვი-  
თონ ლიბრეტო „ნესტანი“ ძალიან კარგი და  
საკვებობით მოსაწონია. იგი მოიცავს ნაწარმოე-

ბის მთავარი ნაწილის თითქმის ყველა არსე-  
ბით მომენტებს. ჩემის აზრით, „ნესტანის“  
ლიბრეტო უნდა გაიშალოს ზღაპრული ფერა-  
დოვნებით, ხასიათებისა და ცალკეული აქტე-  
ბის დინამიკურობით. ვინაიდან ნაწარმოების  
დედარასის მთლიანად გადმოცემის შესაძლებ-  
ლობა არ არის, მოცემულ ლიბრეტოში უნდა  
მოხდეს ოპერის ცალკეული და მასთან ძირითა-  
დი მომენტების გამოვლენა, ფერთა სიუჟეია,  
პლასტიკით, დინამიკურობით და აღმოსავლუ-  
რი მზიურობით. მე ამ თვალსაზრისით ვუდგე-  
ბი ლიბრეტოს.

პირველი სურათი იწყება კარგად, იგი შე-  
საძლებლობას იძლევა სცენაზე განვითარდეს  
ბრწყინვალე, შესანიშნავი, ლამაზი აღმოსა-  
ვლური სურათი: გამარჯვების ზეიმი, გმირობი-  
სადმი სწრაფვა, რაღა თქმა უნდა, ამ სურათში  
უნდა იყოს სახალხო სიხარულის გამომსახვე-  
ლი დინამიკურობა, დიდი ზეიმზარი. ამ საერ-  
თო აღტაცებისა და სიხარულის ფონზე, ტარი-  
ელისა და ნესტანის ტრაგედიის შემოჭრა ჩე-  
მის აზრით უადგილოა და ვერც არის სათანა-  
დოდ განვითარებული. იგი ძალზე სუსტია.  
მხოლოდ ტარიელის არია მიგვიჩინებს დრა-  
მის დასაწყისზე, საერთოდ დრამის წარმოშო-  
ბა ძალზე ძუნწად ხდება. ამასთან, ხალხი თუ  
სახლის ნაწილი ამ ზეიმურობაში ვერ გამოხა-  
ტავს ტარიელისა და ნესტანის განდიდებას, მა-  
შინ როდესაც მთელი ეს სცენა მათ მიეძღვენ-  
ებათ. იგი ვერ მივა მაყურებელამდე.

დიდთ პატრიცემული მიხეილ მიხეილის  
ქვე (იპოლიტოვ-ივანოვი — მ. ყ.)! მე გთხოვთ,  
ამას მიუტკივით ყურადღება. დრამის დასაწყისი  
უნდა იყოს მკაფიო.

შეიძლება შემოვთავაზოთ შემდეგი ვარაა-  
ცია: შეიქმნას საერთო ზეიმი, ცეკვები, თამა-  
ში, მხიარულება — ბოლოს მოეწყოს ნესტანის  
უარის თქმა საქმროზე (ზვარაზმელზე—მ. ყ.),  
მამის განრისხება, საერთო არეულობა, მოახ-  
ლოებული ქვეა-ქუხილის განწყობილება. ტა-  
რიელის არია ცეკვებამდე უნდა იყოს. არია  
შეიძლება გადაიზარდოს ტარიელის, ნესტანის  
და ასმათის ტრიოში. ამ დროისათვის კი სცენა-





ზე ჩემს მიერ შეთავაზებული საზეიმო მზადებაა. ცეკვების შემდეგ — შეჯახება მამასთან, ფარსადანთან, ხალხის რეაგირება — ანსამბლი, დასასრული.

მეორე სურათი კარგი იყო დაწყებულიყო ნესტანის პატარა არიით. ჩემი წინადადებაა, ამ სურათში შეიტანოთ შემდეგი ცვლილებები: ლიბრეტოს მიხედვით ტარიელის შემდეგ კამონღებთან მეგობარი გოგონები, რომლებიც რღბრიან და ცეკვავენ. დავარის გამოჩენისთანავე ისინი ვარბიან. ჩემი წინადადება კი ასეთია: მეგობარი გოგონები დავარის მოსვლის შემდეგაც სცენაზე უნდა დარჩნენ. დავარი მათი თანადასწრებით ახდენს ნესტანის ვატაცების აქტს. გოგონები ასმათთან ერთად იწყებენ ტირილს ტრადიციული აღმოსავლური ზნე-ჩვეულებით, ისე როგორც ზარი იციან ქუთაისის გუბერნიაში. ასმათი ხმით მოთქვამს, გოგონები მიუხმდებენ. შემოდის ტარიელი, ყველა ერთხმად უდასტურებს ნესტანის ვატაცებას ამბავს და ლოცვითა და ვედრებით შესთხოვენ დიერთს, მიეხმაროს ტარიელს. ამ სურათში დამსწრე მეგობრების წყალობით შეიძლება გაიშალოს საინტერესო მოძრაობა და ურყევი გამბედაობის გვერდით უფრო მეტად გამუქდეს დავარის სიმკაცრე, აღმოსავლური ტირილი.

კარგი იქნება მოეწყოს ნესტანის გამოთხოვების სცენა ასმათთან და მეგობრებთან, თუ კი ისინი სცენაზე დარჩებიან, მაშინ ყოველივე ამის გაკეთება კარგად შეიძლება.

მესამე სურათი მისაღება მთლიანად. მხოლოდ დევისა და მათი მხედრობის გამოსვლა კოლორიტულად უნდა გაკეთდეს. მარშით გამოსვლა მე მგონი მოსაწყენია. ისინი მესაქე კარიდან ქარიშხალივით უნდა შემოიჭრან ცეკვით, ხმაურითა და დიდი მოძრაობით, მათი წინამძღოლები მადლობას უხდიან ტარიელსა და ავთანდილს განთავისუფლებისათვის და ექლევებიან განუზომელ სიხარულს. აქ შეიძლება ჩაერთოს ორიგინალური ბალეტი და ამით დამთავრდეს სურათი.

მეოთხე სურათი. მე ვგეგმი, რომ ეს სურათი მეტად მხატვრული და ფერადოვანია. მხოლოდ არ ვეთანხმები დაბოლოებას. მე მგონი სურათი უნდა დამთავრდეს ასე: ავთანდილი და ფრიდონი ხვდებიან ფატმანს, უკანასკნელი მათ ატყობნიებს ნესტანის ადვანსამყოფელს. აქ ერთის მხრივ უნდა გაიბას ავთანდილისა და ფატმანის სატრფიალო სცენა, ხოლო მეორეს მხრივ, ნესტანის კვალის მიგნებით ავთანდი-

ლისა და ფრიდონის სიხარულის სცენა. ნესტანს გამოითმოს ნესტანის წერილის სცენა. ხალხის დარჩენა სცენაზე შეიძლება სურათის პოლომდე, მაგრამ ინტერესს წარმოადგენენ მხოლოდ ავთანდილი და ფრიდონი.

ამ სურათის შემდეგ მე გთავაზობთ ახალი სურათის შექმნას. ვეცდები მოკლედ აგიწეროთ მისი ორი ვარიანტი.

ახალი სურათი შეიძლება იყოს ფატმანის, ავთანდილისა და ფრიდონის სცენის გაგრძელება. ფატმანისა და ავთანდილის სატრფიალო სცენა განვითარდეს დასაწყისიდან. ნესტანის წერილის მიღებისთანავე, შემდეგ, სამოქმედო გეგმის განხილვა, დასრულდეს ეს სცენა ტარიელის მოსვლით. ეს სურათი შეიძლება დამუშავდეს სრულიად ახლებურად.

მეორე ვარიანტი — ეს სურათი შეიძლება ავავთო ნესტანის სცენის საფუძველზე. ამ სურათში უნდა გადმოიცეს ნესტანის გამოუთქმელი ტანჯვა ახალ გარემოცვაში. ტარიელისაგან მიღებული წერილი და პასუხი. მე პირადად ვამჯობინებდი პირველ ვარიანტს. აქვე უნდა იქნეს გადმოტანილი ნესტანის არიაც.

სრულებით არ ვეთანხმები მეხუთე სურათს. მე მგონია იგი ჰკლავს მთელ სიუჟეტს. წინადადება შემომამქვს, სურათი დაიწყოს შემდეგნაირად: ღამეა, ქაჯებთან დიდი ზეიმია. ქაჯების მეფისწული ემზადება ნესტანთან დასაქორწინებლად, ციხე-კოშკის ეზო-ყურეზე გამეფებულია საერთო სიხარული. მხიარული მეფისწული ხალხს ვულუხავად მასაინძლოებს. დიდ ქეიფში გართული ქაჯები ვერ ამჩნევენ ტარიელის ბანაკიდან შემოსულ გადაცმულ მხედრებს. აზავებულ ღრეობის მომენტში ეწყობა თავდასხმა. სცენაზე აურზაური და ალიაქოთია. ავთანდილი და ფრიდონი ტარიელს იხრილზე გადასვლაში ეხმარებიან. მტერზე გამარჯვება მოხვედრულია.

აქ უნდა შეიქმნას ქაჯების გამოყვანის უჩვეულო სცენა, მათთვის დამახასიათებელი თავისებური მოძრაობით. იგი სრულიად უნდა განსხვავდებოდეს სხვა წინა სურათებისაგან, რეჟისორული ნიჭისა და მაღალი ფანტაზიის ნებით.

ა. ახმეტელა

აღ. ახმეტელის ეს რეცენზია მისი დიდი რეჟისორული ნიჭისა და მაღალი ფანტაზიის თვალსაჩინო ნიმუშია.


ლიბრეტოს თვითველი სურათის ახმეტელისეულ რეკონსტრუქციაში სჩანს მისი ცეცხ-

ლოვანი ტემპერამენტი, რეჟისორული ხედავა, საოპერო ჟანრის სპეციფიკის ღრმა ცოდნა.

ნიშანდობლივია, რომ ივ. მაჩაბლის თარგმანის სისხარტე, მოქმედების დინამიკურობა, ქართული სიტყვისა და დიალოგების რიტმული გამართვა, ტემპერამენტი, რაც მ. მ. იპოლიტოვიანოვის ლიბრეტოში ნათლად მოსჩანს, ის არის, რასაც ახმეტელი ეძებდა ქართულსა თუ

უცხოურ დრამატურგიაში. ალბათ ამიტომაც შემთხვევა ამ ლიბრეტოში ალ. ახმეტელის სცენიური მოსაზრებანი ივ. მაჩაბლის თარგმანს, უბრალოება, ხალხურობა, მშვენიერება, ასეაი რყო ალ. ახმეტელის შემოქმედებითი მრწამსი და ასეთივე თვალსაზრისით მიდგომია ლიბრეტო „ნესტან-დარეჯანის“ განხილვას.

მიხეილ ყვარელაშვილი



29 აპრილი სანდრო ამბეტელის საიუბილეო დღე იყო. ქართველმა ხალხმა ამ დღეს განსაკუთრებული გულთბილი სითბო და სიყვარული გამოხატა დიდი ხელოვანის მიმართ. ჩვენმა საზოგადოებამ თავისი წვლილი მიუზღა სახელოვან მამულეშივლის, ვინც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ეროვნული თეატრის ისტორიას, მის ნამყოს, მის მომავალს.

შესანიშნავი ხელოვანის ღვაწლს ერის კულტურის წინაშე ფართოდ აღნიშნავდნენ რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული პრესა, რადიო, ტელევიზია. ს. ამბეტელის საიუბილეო დღეებს გამოეხმაურა საკავშირო ყურნალ-გაზეთებიც.

1967 წლის 29 აპრილს გამოჩენილი ქართველი რეჟისორის სანდრო (ალექსანდრე) ამბეტელის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო მოეწყო რუსთაველს სსხ. თეატრში.

საღამო გახსნა და მოკლე შესავალი სიტყვით დამსწრე საზოგადოებას მიმართა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა, კომპოზიტორმა ო. თაქთაქიშვილმა. „ჩვენ ქალაქში, — თქვა მან, — მთელ ჩვენ რესპუბლიკაში მარჯულაც დიდი ზეიმიია. რეჟისორმა ა. ამბეტელმა წარუშლელი კვალი დასტოვა, მისი სახელი ჩვენ სულიერ მამათა შორის არის ჩაწერილი. ამბეტელმა ჩვენს რევოლუციას უმღერა ნიჭიერად, მჭეტყარედ, უმღერა, როგორც ეს რევოლუციას შეეფერებოდა. მან შესძლო ეროვნულისა და ინტერნაციონალურის შერწყმა. იკო შესწვდა ხალხურ, ეროვნულ იდეალებს. გაიდა ამისა ამბეტელმა დაინახა და იგრძნო ქართული სინთეზური თეატრის არსი.“

უჩვეულო ნიჭით დაჯილდოვებული, იგი ღრმად შეიჭრა ქართული ხალხური მუსიკის წიაღში და ბიძგი მისცა ჩვენს კომპოზიტორებს, რომ შეერწყათ ქართული ხალხური მუსიკა ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის.

ს. ამბეტელმა არაჩვეულებრივი მხატვრობა შემოიტანა თეატრში და, რაც მთაყარია, გაზარდა დიდად ნიჭიერი მსახიობები. ამით შესძლო მან უდიდესი სიყვარულის დამსახურება.“

ო. თაქთაქიშვილი თხოვნით მიმართავს

დამსწრე საზოგადოებას, ფეხზე აღვამოთ პატივი სცენ დაღუპული ხელოვანის ხსოვნას დარბაზში ყველანი ფეხზე ღგებთან.

საღამოზე ვრცელი მოგონებით გამოდის აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე. იგი იხსენებს სტუდენტობის წლებს, როცა ახალგაზრდა ს. ამბეტელი პეტერბურგში სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე, ამჟღავნებდა თეატრისადმი დიდ ინტერესს, აქვეყნებდა მთელ რიგ წერილებს თეატრალურ ხელოვნებაზე; სწავლობდა, ეწაფებოდა თეატრალურ ლიტერატურას.

ახალგაზრდობაში — ამბობს შ. ნუცუბიძე — ამბეტელი იყო შეუპოვარი, დიდი სტიქიური ძალისა და ბოტენციის ადამიანი. ასეთივე ზრგე, მაგარი და გაბედული იყო იგი ყველა საქმეში და, რა თქმა უნდა, ხელოვნებაშიც.

იგი ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტის გასახსნელად თავი მოუყარა ხალხს. რუსეთიდან წამოვიდნენ მთელი რიგი მეცნიერები. ასეთივე დიდი კულტურული საქმისათვის — ქართული თეატრისათვის, სამშობლოში ჩამოვიდა ს. ამბეტელი. შ. ნუცუბიძე იგონებს რეჟისორის პირველ ნაბიჯს ქართულ თეატრში, ახასიათებს მის პიროვნებას, როგორც უაღრესად ჰუმანურს, მგრძნობიარეს, მაგრამ პრინციპულსა და შეუვალს, როცა საქმე ქართული თეატრის ინტერესებს შეეხებოდა.

სანდრო ამბეტელმა მონახა ქართული სტილი, ქართული რიტმი. ის ნამდვილი ქართველი ადამიანი იყო. ორჯანულად გრძნობდა ეროვნული ხელოვნების თავისებურებებს. ამ მხრივ წარმართა მან ძიებები, გაიარა დიდი გზა და მიადგა მწვერვალს. ქართულ თეატრზე პირველად ალაპარაკდნენ საქვეყნოდ. რუსეთის გზით რუსთაველის თეატრი გახდა შუამავალი ჩვენი კულტურის გატანისა საზღვარგარეთ. ყველაფერი მზად იყო საზღვარგარეთ, ოკეანის გაღმა გასატანად, რათა ქართული კულტურით დამტკბარიყვნენ ოკეანის მიღმა და მოღმა. აი ეს მაძლევს უფლებას — განაცხადა შალვა ნუცუბიძემ, — თქვა, რომ ეს კაცი, რომელიც ქვის სახით (ამ სიტყვებისას იგი მიმართავს ა. ამბეტელის ქანდაკებას) დარჩა ჩვენს შიშის, არასოდეს არ მომკვდარა, რადგან მიაა სიკვდილი იყო გზა უკვდავებისაკენ. სიკვდი-



ლით სიკვდილის დამარცხება ქრისტიანული ფორმულა კი არ არის, სალი საქმის გამარჯვება სწორედ იმაშია, რომ დიდი ადამიანისათვის, რომელთაც თავი დასდეს, სიკვდილი არ არსებობს. მათი სიკვდილი გზაა უკვდავებისაკენ.

გაუმარჯოს ახმეტელის სიკვდილს, როგორც გზას უკვდავებისაკენ!

საიუბოლო კომისიის თავმჯდომარე სიტყვას აძლევს რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეს, თეატრმცოდნე ნ. ურუშაძეს, რომელიც მოკლედ ჩამოთვლის ს. ახმეტელის ბიოგრაფიულ თარიღებს. შემდეგ ეხება ახმეტელის, როგორც მარჯანიშვილის უნიჭიერესი მოწაფის საკითხს და აღნიშნა, რომ ს. ახმეტელი მარჯანიშვილის თეატრალურ რწმენას იზიარებდა, რომ თანამედროვე თეატრი ეს არის აქტიორული რაინდობა, რომ სპექტაკლი სადღესასწაულო სანახაობაა. მაკრამ, როგორც ყველა ჭეშმარიტი მაღალი რწმენის შემოქმედი, თავისი იდეის განხორციელებას საკუთარი გზით შეუდგა.

საოცრად მკითრე ვადაში — ამბობს იგი — ახმეტელმა შექმნა რუსთაველის თეატრის იკეთი შემოქმედებითი სახე, რაც სათანადოდ აღიზიქდა რუსთაველის თეატრის მატიაწეში. მის გვერდით იღვა შესანიშნავი თეატრალური მხატვარი ი. გამრეკელი, მის გარშემო იყო ერთსულოვანი, შემოქმედებითად თანამოზიარე დასი.

ს. ახმეტელი არის თანხმეირი თავისი დროის მოქალაქეობრივი განმსახიერებელი. ბრძოლისა და გამარჯვების თემა იყო ძირითადი მის შემოქმედებაში. მისი ოსტატობა სპექტაკლის აგების, კონფლიქტი, ძარღვიანი რიტმი, შესანიშნავი ეროვნული ფორმა, ამ ძირითადიდან გამომდინარეობდა. ხალხის ბრძოლისა და ვამარჯვების თემა ს. ახმეტელმა მაღალმხატვრული, საკუთარი ხელწერით უჩვენა. ამიტომ არის ის თავისი დროის არა მარტო შესანიშნავი, უდიდესი ხელოვანი, არამედ ჭეშმარიტი მოქალაქე.

ღმერთმა ადამიანებს ერთი სიცოცხლე აჩუქა, რჩეულებს — ორი. ეს მეორე უკვდავება დღეს რუსთაველის თეატრში სანდრო ახმეტელის იუბილეა, — არაჩვეულებრივი იუბილე. ამ იუბილეზე არავინ არ ულოცავს იუბილარს.

დღევანდელი იუბილე სანდრო ახმეტელის მეორე სიცოცხლით იწყება.

რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრი გ. აზმაიფარაშვილის ღირიყოობით ასრულებს მუ-

სიკალორ ნომრებს სპექტაკლ „კარმენ-სიტკა დან“. (დადგმა ს. ახმეტელისა, მუსიკა ი. ტუსკიასი).

სიტყვას ამბობს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე. — მთელი ჩემი ცხოვრების გზა — თქვა მან — დიდად არის დაკავშირებული ს. ახმეტელის საყვარელ სახელთან. მე მისი პირველი წარმოდგენის „ბერდოშნიანის“ შექმნის მოწვევ ვარ. ეს მოხდა სწორედ აი იქ, ამ სცენაზე. ამდაგვარი ერთიანი მტკიცე ანსამბლური სპექტაკლი ქართულ თეატრს არ უნახავს.

ს. ახმეტელმა შექმნა შესანიშნავი, საინტერესო სპექტაკლი და ამით დაიმსახურა თეატრისა და ჩვენი საზოგადოების სიყვარული. კ. მარჯანიშვილის მახვილ თვალს, რა თქმა უნდა, არ გამოუპარებოდა ისეთი ნიჭიერი კაცი, როგორც იყო ახმეტელი. შეიყვარა, გზარდა; ახარებდა მისი ყოველგვარი წარმატება, შეხაროდა მის სიცოცხლეს. არაჩვეულებრივი სიყვარულით უყვარდა კ. მარჯანიშვილს მისი მოწვევით, საითივე სიყვარულით პასუხობდა ს. ახმეტელი მას.

გავიდა ხანი, იგი ჩაუდგა სათავეში თეატრს. სამწუხაროდ ხანმოკლე იყო მისი ხელმძღვანელობა, მაგრამ ეს იყო ბრწყინვალე. დაიწყო ახალი გზების ძიება, ათვისა თავისი მასწავლებლის მდიდარი მემკვიდრეობა, მაკრამ ბევრ რამეს თავად მიაკვლია. ეძებდა ეროვნულ, ნაციონალურ ფორმებს. „ანზორი“, „ლამარა“, „ინ ტირანოს“ ამის საუკეთესო ნიმუშებია.

შემდეგ დ. ანთაძე ახასიათებს ს. ახმეტელს, როგორც თავისი ქვეყნის საუკეთესო პატრიოტსა და მოქალაქეს. ადამიანებთან ურთიერთობაში გულისხმიერს, მეგობრობაში გამტანსა და თავგამოდებულ ქომაგს. დ. ანთაძე იხსენებს მასზე გაწეული ზრუნვის საგულისხმო ფაქტებს.

— ახმეტელი ჭეშმარიტი რეჟისორი იყო — ამბობს იგი — დიდი შემოქმედი, დიდი მოქალაქე და ქართველი ვაჟკაცი. გავა ათეული წლები და მოვა მიუდგომელი ისტორიკოსი, რომელიც თავის საპატიო ადგილს მიუჩენს ს. ახმეტელს ქართულ თეატრის ისტორიაში, მის ბედიბლის განმტკიცებასა და წინსვლაში“.

სიმფონიური ორკესტრი ასრულებს მუსიკალურ ნაწყვეტს „ყარაღებიდან“.



თავმჯდომარე სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს ს. ზაქარიაძეს.

მსახიობი იკონებს თავის არტისტული ცხოვრების პირველ წლებს, როდესაც იგი მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, იყო უბინაოდ დარჩენილი. პირველი, ვინც დახმარების ხელი და მეურვეობა გაუწია, ს. ახმეტელი იყო. ეს ყოველივე მსახიობმა დიდი პატივისცემითა და მადლობრებით გაიხსენა. შემდეგ იგი ლაპარაკობს თეატრისადმი ახმეტელის უსაზღვრო სიყვარულზე. — „მაგრამ — ამბობს ს. ზაქარიაძე — ამავე დროს ის იყო დაუნდობელი ადამიანი, დაუნდობელი იმით მიმართ, ვინც შეზღაურდა თეატრის წმინდათა წმინდა სახელს. თეატრის კეთილდღეობისათვის, მისი დისციპლინისათვის, მისი პატივისცემისათვის არავის დაინდობდა.

მას ქონდა დიდი ეროვნული სიყვარული, ვაჟკაცური სიყვარული. თავისი საქმისადმი, ქართული თეატრისადმი დაუღალავი ენერჯია, დაუღალავი შრომის უნარი, დიდი ნებისყოფა, რითაც მან შეკრიბა და შეამჭიდროვა თეატრი, როგორც ერთი ერთეული და როდესაც მიიწოდებოდა მასში შეეტანათ რაღაც ბზარი — აი ეს არ დასთმო და თავი შესწირა კიდევ.

მე მინდა ის ძვირფასი თვისებები, რომელიც ჰქონდა ს. ახმეტელს და რითაც იყო ძლიერი რუსთაველის თეატრი, აი ეს უძვირფასესი თვისებები შეიძინოს თეატრმა მისგან, როგორც ჩვენი დიდი მასწავლებლისაგან.

ვიღრე თავმჯდომარე მოგონებისათვის სიტყვას მისცემდა მოსკოვის ცენტრალური საზავშო თეატრის დირექტორს კ. შახაზიზოვს, საქართველოს სახელმწიფო კაპელამ შეასრულა ხალხური სიმღერის შედევრი — „შენ ხარ ვენახი“ და სულხანიშვილის „სამშობლო ხე-სურისა“.

— „მთელი ხელოვნებისათვის ამ დიდ სახეიმოდ დღეს — თქვა კ. შახაზიზოვმა — ნება მომეცით, ძვირფასო მეგობრებო, ჩემო კოლეგებო, საბჭოთა კავშირის თეატრალური საზოგადოების სახელით გადმოგცეთ მეგობრული სალამი“!

შემდეგ ორატორი იხსენებს რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის შექმნის პირველ წლებს და იმ მზრუნველობას, რომელსაც იჩენდა ს. ახმეტელი ყოველი ახალი სასარგებლო წამოწყებების მიმართ. ახალ თეატრს ახმეტელმა

ტელმა სპექტაკლების მოსაწყობად დაუთმო სწორედ კვირა დღეს. რუსულმა მოზარდმა „რობინ ჰუდი“ ითამაშა „ინ ტირანოსის“ დეკორაციებში.

შახაზიზოვი იხსენებს ახმეტელის საუკეთესო დადგმებს და დასძენს — „ანზორმა“, „თეთნოდმა“, „ინ ტირანოსმა“ რეკოლუცია მოახდინეს თეატრში... ყოველი სპექტაკლი ნოვონა იყო, ეს იყო ჭეშმარიტად გამორულომანტიული თეატრის შექმნა... ჩვენ ეს ღამისმინეთ მუსიკალური ნაწყვეტი „ინ ტირანოსიდან“, ეს ის წარმოდგენაა, რომელიც საუკუნეებს იცოცხლებს, ეს მსოფლიო მნიშვნელობის სპექტაკლია“.

საქართველოს პროფესიული თეატრებს სახელით სიტყვას ამბობს რესპუბლიკის ახალხო არტისტი მ. ხინიკაძე.

იგი ლაპარაკობს ს. ახმეტელის დამსახურებაზე ქართული საბჭოთა თეატრის საზოგადოებად, და, კერძოდ კი, რუსთაველის თეატრის წინაშე. ლაპარაკობს იმ უღიფეს წარმატებებზე, რომელიც რუსთაველის თეატრს გააჩნდა 1930 და 1933 წლების გასტროლებისას მოსკოვსა და ლენინგრადში.

საიუბილეო საღამოზე გამოდიან რუსთაველის თეატრის ძველი მსახიობები. მათი სახელით სიტყვას ამბობს ი. უგულავა. იგი დიდი რეჟისორის ხსოვნას მიუძღვნის სამადლობოდ, გულწრფელ სიტყვებს. ლაპარაკობს ს. ახმეტელის ხელოვნებაზე, მის დადგმებზე, გასტროლებზე მოპოვებულ წარმატებებზე. დასაბრუნებს მან თქვა: „მოსკოვიდან თავის მოწაფეებისადმი გამოგზავნილ წერილში ახმეტელი წერდა — „ჩემი შემოქმედების შეეარდნები, გაუფრთხილდით რუსთაველის თეატრს, ზის საძირკველში ჩემი გული და თქვენი მგზნებარე ენერჯია ჩავატანე“!

ჩვენ, მისმა მოწაფეებმა, გულში ამოვიკვეთეთ ეს სიტყვები და ახლა გვინდა გადმოგცეთ რუსთაველის თეატრის ნიჭიერ თაობას; მარად გახსოვდეთ, ქართული კულტურის ამ ტაძრის საძირკველში დიდმა შემოქმედმა თავისი წრეველი გული ჩაატანა“!

საღამოზე სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ე. გოძიაშვილმა.

— „მან მასწავლა — ამბობს იგი — თეატრის ანზანი და მანვე განმაცდევინა აქტიური წარმატების პირველი სიტკობი; მის ბრწყინვალე, ვაჟკაცურად დიდებულ „ანზორში“ მე ახმას ვთამაშობდი...“

მე მუდამ მხიბლავდა ს. ახმეტელში მისი არაჩვეულებრივი მუსიკალობა და პლასტიკურობა. ის გრძნობდა ბეგრასა და მოძრაობის მშვენიერებას, უბრალო სიტყვას, თავის ოდნავ შემობრუნებას.

ყველაფერი უაზრო და სიცოცხლის სიყვარულს მოკლებული სიძულვილს იწვევდა მასში. უყვარდა სიცოცხლე, ცხოვრებისა და ხელოვნების მშვენიერება, ტკბებოდა სიმღერით, გარსკვლავიანი ცის სილამაზით, ეტრფოდა ქალის მშვენიერებას და გაზაფხულის პირველ სუნთქვას.

ოცდაათი გაზაფხული გაეიდა მას შემდეგ, რაც აღარ არის ახმეტელი და ყოველ აპრილს, მის დაბადების დღეს, გაზაფხულის ყველაზე ნაზი ყვავილებით მიწდა შევამკო სანდროს დაკარგული საფლავი“.

იუბილეზე მისალმებით გამოვიდნენ სილნაღის, ს. ახმეტელის მშობლიური კუთხის მშრომელთა წარმომადგენლები. მათი სახელით სიტყვას ამბობს ბეგიაშვილი. დასასრულს ივა სილნაღის რაიონის მშრომელებისაგან თეატრის კოლექტივს საჩუქრად გადასცემს ს. ახმეტელის მშობლიური სოფლის ანაგის ფოტოსურათს, ს. ახმეტელის ოჯახს კი — სამახსოვრო საჩუქარს.

სილნაღის რაიონის მშრომელთა ჯგუფი ასრულებს ხალხურ სიმღერას „მამ გამარჯვებუ ტკბილო სიცოცხლე“ და „დავიანეს“.

თეატრის სცენას ავსებს რუსთაველის თეატრის დასი. კოლექტივის სახელით სიტყვას ამბობს თეატრის მთავარი რეჟისორი, რესპ. სახალხო არტისტი არჩ. ჩხარტიშვილი.

— „ოკტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი ეს ორი სახელი არის მთელი ეპოქა, ქართული საბჭოთა თეატრის პირველი ნაბიჯები, მისი ყრმობა და დაჯაჯაცება!...“

მარჯანიშვილი — უკვე საქვეყნოდ აღიარებული, ვამობრძმედილი, დაბრძმენებული, მაგრამ მუდამ მჩქეფარე შემოქმედი!

ახმეტელი — ასევე დაუღვარი, ჯიუტად მაძიებელი, მწვერვალთა დაპყრობის დიდი მოსურვე!

ერთი მხრივ — ცოდნა, გამოცდილება, დიდი კულტურა, კაშკაშა ნიჭი!

მეორე მხრივ — ეაქკატური შემართება, ხელოვნების არსში ჩაწვდომის წყურვილი ჰუნებრივ ინტერესებთან შეზავებული... დიდი მასწავლებელი — ღირსეული და ერთგული მოწაფე... ორივესთვის საერთოა ეპოქის სუ-

ლისკვეთების დიდი შეგრძნობა, ეპოქის მოთხოვნილებათა სიმალღეზე დგომა...“

1921-26 წლები. ახალი თეატრის ოქროს ხანის დასაწყისი. ახალი სახელები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები და რაც მთავარია ავტორები...“

ორივე, შემოქმედი და მასწავლებელი, ერთად იბრძვიან, ერთად ქმნიან, ერთად გვაკვირვებენ, დიას, გვაკვირვებენ ნიჭის ბრწყინვალებით.

ყველა სექტაკლი ზეიმია, საოცრება! მასწავლებელი წვრთნის, მოწაფე იწრთენება... თანამდგომი ხდება... შემდეგ მომწიფდება... ახალი ახმეტელისეული გამომსახველობითი საშუალებების ძიება და...“

ასეთი გათიშვის მაგალითები ბევრია იმ დროს... ბევრია მოსკოვშიც... სტანისლავსკის მოწაფეები ვახტანგოვი, მეიერხოლდი საკუთარ თეატრებს ჰქმნიან...“

ცხოვრების განვითარების ურყევი კანონი: შეგირდი ოსტატი ხდება... გატაცება რეჟექსოლოგიით, პავლოვი, ბესტერევი... წარმოდგენის შემდეგ ღამის ლექციები და ექსპერიმენტები განიცდის ფიზიკური გამოსახვის თემაზე...“

შემოქმედებითი მეგობრობა მხატვარ ირაკლი გამრეკელთან. კომპოზიტორები: ივანე გოციელი, იონა ტუსკია... კვლევა ახალი ავტორები: გლეხოვი და შანშიაშვილი, ლავრენიევი და დლიანი, შილერი... მასწავლებელი ტომს არ უდებს მოწაფეს, ბებერ ლომს ვერ კლანჭება არ დაცვეთია... ახალ თეატრში ის ახალ შედეგებს ჰქმნის... ჰობლა, ჩვენ ცვოცხლობთ“, „ურიელ აკოსტა“...“

ორი დილოსტატი ეჯობრება უკვე ერთმანეთს, მაგრამ ორივეს ერთი რამ ასულდგმულებს: ეპოქის შესატყვისი ახალი ქართული თეატრის პრობლემები.

მასების დიდი აზვირთებაა ირგვლივ და თეატრიც მასშტაბური უნდა იყოს... მესაჰე ნოქმედების მასიური სცენა და ზაირას ცეკვა „ანზორ“-ში, მაყურებელთა დარბაზიდან წამოსული დროშა „რღვევა“-ში, სცენა ტავერნაში „ინ ტირანოსი“-დან, პაეზი „თეთლ“-ში...“

მაყურებლის დიდი დაინტერესება თეატრის ცხოვრებით, ხალხით გაჭედილი დარბაზები, კამათი, დისკუსიები... ამ შეჯიბრში საღდაც შუღლიც იბადება, მიტქმა-მოტქმაც, მაგ-



რამ თვითონ ოსტატები ამაში უბრალონი არიან...

ქართული თეატრის ოქროს ხანა გრძელდება... გასტროლები მოსკოვში, ლუნაჩარსკის ამაღლებელი სიტყვა, საქვეყნო აღიარება, და... ეს ყველაფერი ცხრა წელიწადში, დიად, ცხრა წელიწადში... საოცრებაა! ის წავიდა ჩვენგან... უდროოდ წავიდა. მის შემდეგ ჩვენ გავიზარდეთ, ბევრი რამ შევიძინეთ, ბევრი დაგკარგეთ კიდევ...

რას ვიზიარებთ დღეს მის მემკვიდრეობიდან? ვიზიარებთ ეპოქის სულიდან ხელოვანის მოქალაქეობრივ პოზიციას... (დასი ერთსულოვნად შესძახებს — ვიზიარებთ!). ვიზიარებთ ეროვნული კულტურისადმი უსაზღვრო

სიყვარულს... (დასი — ვიზიარებთ!). ვიზიარებთ ვაჟკაცურ შემართებას პრინციპულობისათვის ბრძოლაში... (დასი — ვიზიარებთ!) ვიზიარებთ იმას, რომ თეატრი იქმნება მხოლოდ თანამოაზრეთაგან შემდგარი კოლექტივით... (დასი — ვიზიარებთ), ბევრ სხვა რაჟესაც, და ამაშია ამ ხელოვანის უკვდავება! (დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში).

გურამ სალარაძე კითხულობს გალაქტიონ ტაბიძის ლექსს — „დროშები ჩქარა“. დარბაზის ბოლოდან სცენის სიღრმისაკენ ეშვება წითელი დროშა და ს. ახმეტელის პორტრეტთან ჩერდება. დარბაზიცა და პრეზიდენტიც ფეხზე ამდგარი მიესალმება ს. ახმეტელის 80 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულს.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს,  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს,  
მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს

პ რ ო ვ ე ს ო რ

ბიორბი სარდიონის ძე ახვლედიანს

შეუსრულდა დაბადებიდან 80 წელი.

ამ თარიღს მიეძღვნა საიუბილეო საზეიმო სხდომა, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 5 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

## მეცნიერი—თეატრის ამაზღარი

თანამედროვე ქართული თეატრი დიდადა დაავლებული ჩვენი გამოჩენილი ენათმეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს გიორგი ახვლედიანისაგან.

იგი თავისი კვლევა-ძიების ფართო სფეროში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს დღემდე სათანადოდ შეუსწავლელ ქართულ სასცენო მეტყველების საკითხებს.

საყოველთაოდ ცნობილია გ. ახვლედიანის მუდმივი ზრუნვა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა და სიწმინდისათვის. ასევე საფუძვლიანად ეკიდება ის სასცენო მეტყველების კულტურის განვითარებასა და წინსვლას, სანიმუშო დედანის დამკვიდრებას სცენაზე. გ. ახვლედიანი აღრმავებს იმ შესანიშნავ ტრადიციებს, რომლებიც უკვდავმა ილიამ და აკაკიმ უანდერძეს ჩვენს თეატრს.

ეს სახელოვანი მეცნიერი თავმჯდომარეა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული ენის სიწმინდისა და სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოსი. აქ ეწევა იგი ფრიად საჭირო თეორიულსა და პრაქტიკულ საქმიანობას ჩვენი თეატრის წინსვლისა და შემდგომი აღმავლობისათვის, სასცენო მეტყველების სრულყოფისა და თეატრალური ტერმინოლოგიის დადგენისათვის.

გ. ახვლედიანს ძირითად დებულებად მიაჩნია, რომ „ქართულ სცენიდან უნდა ისმოდეს მხოლოდ სალიტერატურო ქართული წარმოთქმა“, მაგრამ სათანადო ანგარიშს უწევს ამ ენისა და კუთხური მეტყველების ურთიერთ მიმართებასაც, სასცენო ორთოეპიის (სწორმეტყველების) საკითხების მოწესრიგებას, აქცენტუაციისა და ინტონაციის სიუხუსტეს, პაუზა-

ციასა და მეტყველების ტემპს, მკაფიობას, ხმის ამპლიტუდის თავისებურებებს.

განსაკუთრებით დასაფასებელია ის გარემოება, რომ მიუხედავად მსოფიანებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით გადატვირთულობისა, იგი პოულობს დროს, ახალგაზრდული შემართებითა და უშრეტი ენერგიით დაეხმაროს არა მარტო დედაქალაქის, არამედ რაიონულ თეატრებსაც; აქაც ატარებს სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებს, სპექტაკლებს ენობრივად განიხილავს, რითაც დიდად ეხმარება სცენის მოღვაწეებს.

გ. ახვლედიანისა და მისი ღირსეული მოწაიხის პროფ. ს. ჟღენტის უშუალო ხელმძღვანელობით თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა სასცენო მეტყველების საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური ნომერი „მოამბისა“. მასში მოთავსებული გ. ახვლედიანის წერილი „სასცენო მეტყველების ზოგიერთი საკითხისათვის“ (1963) და შემდეგ მისივე საფუძვლიანი მოხსენება — „ქართული სალიტერატურო ენის ორთოეპია და სასცენო მეტყველება“ (1964) — შეიცავენ მთელ რიგ სახელმძღვანელო პრინციპებს.

მსატრული სახის შექმნა სცენაზე დიდადა დამოკიდებული შინაგანი განცდისა და გარდასახვის უნარზე. აქ, მსმენელ-მყურებელზე შემოქმედების თვალსაზრისით, ფიზიკური მოქმედებაც და მეტყველებაც ორივე მოქმედებაა. მათგან გ. ახვლედიანი მეტს მნიშვნელობას მეტყველებას, მსახიობის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ანიჭებს. მისი აზრით, წარმოთქმის ელემენტები: არტიკულაცია, ტემპი, რიტმი, ინტონაცია, მელოდია და სხვა მსახიობ-

მა უნდა გამოიყენოს იმის შესაფერისად, თუ როგორია მისი მხატვრული ამოცანა, რა შინაარსისაა ის როლი, რომელსაც ის წარმოადგენს.

სამაგალითო მკაფიო მეტყველებიდან გადახვევას გ. ახვლედიანი უშვებს გარკვეული ზომიერებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დრამატურგი და მსახიობი ქმნიან მხატვრულ სახეს ეთნოგრაფიული მიზნით. ჩვენი მეცნიერი შენიშნავს: როდესაც, მაგალითად, „კომიკური ეფექტისათვის დრამატურგი ან მსახიობი მიმართავს კუთხურ მეტყველებას—წარმოთქმას, ესაა იაფფასიანი ხერხი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სრულფასოვან ხელოვნებასთან“. ავტორი აქ ხელმძღვანელობს მაღალი ესთეტიკური პრინციპებით მასურებელზე ზემოქმედებისათვის.

გ. ახვლედიანის აზრები სასცენო მეტყველებაზე მეცნიერულია და აქტუალური, რად-

გან, ცნობილია, რომ „მეტყველების კულტურის გარეშე არ არსებობს არც აზროვნების კულტურა“. ამიტომაც, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასცენო მეტყველებას ყოველმხრივ დამუშავებასა და დახვეწას. თეატრი ხომ ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში ყოველთვის იყო, არის და იქნება სწორი, სანიმუშო ლიტერატურული ენის ფართო მასებში პროპაგანდის დიდი ტრიბუნა.

აი, ამ დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურება გ. ახვლედიანი, ამიტომ აფასებს მას მშობლიური თეატრი.

ქართული სცენის მოღვაწეები გ. ახვლედიანს მიიჩნევენ თავის უახლოეს მეცნიერ-მეგობრად, რომელსაც უსურვებენ ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს მეცნიერებისა და ხელოვნების წინსვლისათვის.

ნინო შვანგირაძე

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და პ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ამა წლის 19 ივნისს პ. მარჯანიშვილის თეატრში გაბართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის

მ ე დ ე ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს

ასსცენო მოღვაწეობის 25 წლის შემომხმადებითი საღამო.

იმ საღამოს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ყველაფერი უჩვეულოდ გამოიყურებოდა. არ იყო სპექტაკლი, მაყურებლებს კი დარბაზი ვერ იტყვდა; საიუბილეო დღისათვის დამახასიათებელი ვრცელი მისალმებუბიც არ გაისმოდა, მსახიობის სასცენო მოღვაწეობის მეოთხედ საუკუნეს აღნიშნავდნენ, იუბილარი კი თვითონ ოცდახუთი წლისას ჰგავდა.

მედეა ჯაფარიძის შემოქმედებით საღამოს, რომელსაც მეგობრული, თბილი და უშუალო ელფერი დაპკრავდა, კარგი გეზი თავიდანვე საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ე. ანჯაფარიძემ მოუძებნა.

მან იუბილეს ტრადიციული გახსნის ნაცვლად თბილი და დამაჯერებელი სიტყვა წარმოთქვა.

შემდეგ თეატრმცოდნე ნ. ურუშაძე ვრცლად აღწერს მედეა ჯაფარიძის შემოქმედებას.

საზეიმო ნაწილი თითქოს შეწყდა და მაყურებლის წინაშე წარსდგა თვით მედეა ჯაფარიძე ჭრიჭინას როლში. ამ პატარა სცენამ უფრო მეტი ხალისით აავსო დარბაზი. მედეა ჯაფარიძის პარტნიორები მთელი გულით, მონდომებით ასრულებენ როლებს — თითქოს ეს მათი მილოცვის ერთი ნაწილი იყო.

ჭრიჭინას შემდეგ მედეა ჯაფარიძის მონაწილეობით მაყურებლებმა ნახეს ნაწყვეტები კიტა ბუაჩიძის პიესიდან „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“ და ბერნარდ შოუს „პიგმალიონიდან“; ხოლო მეორე განყოფილებაში — „იულიუს კეისარი და კლეოპატრა“.

შემდეგ მაყურებლებმა ნახეს ფრაგმენტები კინოფილმიდან, რომლებშიც მონაწილეობს მედეა ჯაფარიძე.

მედეა ჯაფარიძეს სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავს ულოცავს მწერალი მ. მრეველიშვილი, მწერალთა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის სახელით.

მსახიობს ასევე გულთბილად მიესალმა საქართველოს სახალხო არტისტი ბ. კრავიშვილი, — პარტნიორი ფილმში „ქეთო და კოტე“.

აგანსცენაზე ზემოდან საგანგებოდ ეშვება ყვევილების დიდი თაიგული. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ გ. აკაშვილმა მედეა ჯაფარიძეს გადასცა სიგელი. რუსთაველის სახელობის თეატრის სახელით იუბილარს მიესალმა რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. გეგეჭკორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ყვარელაშვილი, მწერალი მ. ჯარათაშვილი, საქართველოს სახალხო მხატვარი ელენე ახვლედიანი. კინორეჟისორმა ს. ფარაჯანოვმა მედეა ჯაფარიძეს მიართვა ხატოვანი მანდილი.

გულთბილი სიტყვები უთხრეს და სამახსოვრო ადრესები გადასცეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ე. ნინიძემ, ამბროლაურის რაიონის წარმომადგენელმა ქ. ნემსიწვერიძემ, მსახიობმა ე. ასლამაზაშვილმა გაითამაშა სცენა „მედეა ჯაფარიძის დიალოგები“.

შემდეგ წაიკითხეს მილოცვის დეპეშები, რომლებიც მედეა ჯაფარიძის სახელზე მოვიდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ვრცელი, გულთბილი სიტყვა უთხრა იუბილარს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. კვანტალიანამ.

დასასრულ რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მედეა ჯაფარიძემ დამსწრე საზოგადოებას ყურადღებისათვის მადლობა გადაუხადა.

## მსახიობის საუნჯე

მედეა ჯაფარიძეს სცენური ცხოვრების 25 წელი შეუსრულდა. საოცარია, რა სიჩქარით მირბის დრო! თითქოს გუშინ იყო, ისე მიდვას ავალწინ — თეატრში მოვიდა სულ ახალგაზრ-

და გოგონა, ისეთი მშვენიერი, რომ თვალს ვერ მოაშორებდი. სწორედ მიმზიდველი, და სანდომიანი — თითქოს ნათელი გადასდიოდა სახეზე. დიდრონი თვალები ხარბად უცქერდნენ

ყველას და ყველაფერს, რაც ხდებოდა თეატრში, თითქოს უნდოდათ ერთბაშად ამოეკითხა სცენის ყველა საიდუმლოება.

მას შემდეგ 25 წელიწადმა გაიარა და მედლა ჯაფარიძეს ნატრა შეუსრულდა. ის გახდა ერთი საუკეთესოთაგანი ქართველ მსახიობთა შორის. მის სახელთან დაკავშირებულია მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მრავალი გამარჯვება და სიხარული.

მედლა ჯაფარიძეზე ლაბარაკი ჩემთვის ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ მისი სახე, ბუნება, ჩემთვის ნათელია. მედლა ლამაზია, ძალიან ლამაზი, და ეს ხომ საუნჯეა, სიმდიდრეა მსახიობისათვის. მის სილამაზეში თავმოყრილია საუკეთესო თვისებები — სულიერი სიწმინდე, კეთილი და მოსიყვარულე გული, კეთილშობილი გრძნობები, რასაც ის დაუზოგავად უწილადებს ყველას, სულ ერთია ახლობელი იგი თუ შორეული, ნაცნობი თუ უცნობი.

საერთოდ მედიკო მაგონებს გაზაფხულის ყვავილს, რომელიც ნაზ სურნელებას გამოსცემს და გათრობს.

ძნელია ჩემთვის მედლა ჯაფარიძეზე ლაბარაკი იმიტომ, რომ ჯერ ვერ გამოვარკვეე, რა არის მისი შემოქმედების მთავარი თემა. მე შინახავს მის მიერ ნათამაშევი ყველა როლი, მე დიდი ყურადღებით ვადევნებ მას თვალყურს... პირველსავე როლებში მედლას ნიჭი გამოვლინდა სრულიად დამოუკიდებლად, თავისებურად, მისი ყოველი სახე იყო მკვეთრი, ნათელი, უშუალო და საოცრად გულწრფელი, თანაც შინაგანი იუმორით გამთბარი, თითქოს ამ გოგონას გული აქვს მხიარული, და ეს განსაკუთრებუ-

ლი თვისება უფრო მომხიბვლელს ხლიდა მის მიერ შექმნილ სახეებს.

მე ვიფიქრე: რა შესანიშნავი სახასიათო მსახიობი გვეზრდება-მეთქი, მაგრამ შემდეგ წამოვიდა სხვა როლები და გამოვლინდა მედლას სხვა მსახიობრივი თვისებებიც. — მისი ჯულიეტა არა მარტო შექსპირის ფურცლებიდან არის წამოსული, არამედ ძველი იტალიური ტილოებიდანაც. ჯულიეტაში ის თამაშობს პოეტურ დრამას, მასში ეს-ეს არის გაიღვიძება ქალი, მე ველი ამ ქალს, მაგრამ ის ბოლომდე რჩება მიჯნაზე. მე ვიფიქრე — მედლა პოეტური ნაწარმოებებს გმირია, მაგრამ ვნახე შოუს კლეოპატრა და ვიგრძენი გამჭრიახი პრაქტიკული ჭკუა, ავზიანი გოგონას ეშმაკური აზროვნება, საშინელი სიხარბე, პატივმოყვარეობა, სიკვამლე და თანაც მიამიტობა, — ეს საოცარი შერწყმა შესანიშნავად გამოიკვეთა კლეოპატრაში.

მედლას უდიდესი ნებისყოფა და ცხოველმყოფელობა აქვს, მას თავდავიწყებამდე უყვარს თეატრი, სცენა, როლი, ამისათვის მზად არის ყოველივე დათმოს.

მე პირველივე წლებიდან შემიყვარდა მედლა. მზიბლავს მისი კომედიური ნიჭი, მისი ნატივი ხელოვნება, მისი ანკარა წყაროსავთ გამჭვირვალე სათნოება, მისი მოუსვენრობა.

ბედნიერება მინდა ვუსურრო მას, ვუსურრო ყველა მისი ონცების განხორციელებას.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი და ქართული მასპერბელი კიდევ მრავალ სიხარულს, მრავალ ბრწყინვალე გამარჯვებას ელის ნედლა ჯაფარიძისაგან.

ვერიკო ანჯაფარიძე

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სამიანოება  
1967 წლის მე-2 კვარტალში

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მიმდინარე წლის II კვარტალში, გარდა გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის სანდრო ახმეტელის საიუბილეო საღამოსი, ჩაატარა კიდევ შემდეგი ღონისძიებები:

7 მაისს აკ. წერეთლის სახ. ჭიათურის სახელმწიფო თეატრის შენობაში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან და ჭიათურის თეატრთან ერთად, მოაწყო ამავე თეატრის მსახიობის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის გრიგოლ ტყაბლაძის საიუბილეო საღამო, მიძღვნილი მისი დაბადებიდან 60 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად.

საღამო გახსნა ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ამხ. ვლ. შუკაიძემ, რომელმაც მოკლედ აღნიშნა ვრ. ტყაბლაძის თეატრალური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

შემდეგ მოხსენებით თქმავა: „გრიგოლ ტყაბლაძის შემოქმედებითი გზა“ გამოვიდა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თორე ევაძე.

საღამოზე იუბილარს გულთბილად მიესალმნენ: ხელ. დამსახ. მოღ. კ. გოგოძე (კინოსტუდია), გ. შანიძე (ჭიათურმარგანშენის მმართველი), მწერალი გ. გოგიჩაიშვილი, ხელ. დამსახ. მოღვაწე დ. ჩხეიძე (თეატრალური საზოგადოება), მუშა პოეტი ჯ. ნუფარიძე, ლ. მეახიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, ხელ. დამსახ. მოღვაწე დ. ჭიეშვილი, კინო რეჟისორი, რესპ. სახ. არტისტი შ. მანავაძე, ტექნიკური მეც. კანდიდატი გ. ქოიავა, მ. ცხომარია (მოზარდ. მაყ. ქართ. თეატრი), რ. შალამბერიძე (საჩხერის რაიაღმასკომის კულტურის განყ. გამგე), გ. ბურკაძე (მასწავლებელი), რესპ. სახალხო არტისტი მიხ. ვაშაძე, ახალგაზრდა პოეტები ე. ჯიშკარიანი და გ. წერეთელი, ხელ. დამსახ. მოღვაწეები ი. ალექსიშვილი, ი. ლოლაძე, მოსწავლე ბ. კაპანაძე და სხვ.

5 ივნისს საქ. სსრ კულტურის სამინისტრომ, საქ. თეატრალურმა საზოგადოებამ და ს. შაუმიალის სახელობის თბილისის სომხურმა თეატრმა დაბადებიდან 60 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავის აღსანიშნავი საღამო მოუწყვეს სომხეთის სსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტს ოლა გულაზიანს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის პ/მეგებელმა მდივანმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწე დ. ჩხეიძემ, რომელმაც ილაპარაკა ქართული და სომხური თეატრალური მოღვაწეების მეგობრობაზე წარსულში და იმ როლზე, რომელიც ამ საქმეში ითამაშა ოლა გულაზიანმა, რომელიც ერთნაირად საყვარელი მსახიობი იყო როგორც სომეხი, ისე ქართველი მსყურებლისაფის, როცა ის თბილისის სომხური თეატრის სცენაზე მოღვაწეობდა. შემდეგ ი. გულაზიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა, საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მწერალმა ს. აგჩიანმა.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ — ხელ. დამს. მოღვაწე გ. ბუნიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი აკ. კვანტალიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თამარ პაპიტიანი და მიხ. ბერიაშვილი, თეატრმცოდნე გ. გოგოლაშვილი და სხვა.

3 აპრილს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და გ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრმა ამავე თეატრის შენობაში შემოქმედებითი საღამო მოუწყვეს თეატრის გამომჭრელ-მოღვაწე ივანე აბაკელიას, რომელსაც დაბადებიდან 70 წელი და თეატრში მუშაობის 50 წელი შეუთრულდა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დოლო ანათქემ. ელენე აბაკელიას შემოქმედებითი და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე მოხსენება წაიკითხა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა ბ. გამრეკელმა.

საღამოზე იუბილარს მიესალმნენ რესპუბ-



ლიკის დამსახურებული არტისტი დ. ჭიჭინაძე (მარჯანიშვილის სახ. თეატრი), ხელ. დამს. მოღვაწე დ. ჭიჭინაძე (ქუთაისის თეატრი), ხელ. დამს. მოღვაწე, მხატვარი დ. თავაძე (რუსთაველის თეატრი), ნ. სვანიძე (ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი), რესპ. დამს. არტისტი დ. ძნელაძე (მოხ. მაყ. თეატრი), რესპ. დამსახურებული არტისტი ნ. მოსეშვილი; (საქ. ფილარმონია), რესპ. სახალხო არტისტი ემ. აფხაიძე, გ. იაკაშვილი (საქ. თეატრალური საზოგადოება), ნ. წიქურია (კულტურის სამინისტრო) და სხვა.

მიმდინარე წლის აპრილში თბილისის პოზნარდ მაყურებელთა რუსულ თეატრს შეესრულდა დაარსებიდან 40 წელი. ეს თარიღი აღნიშნეს საქ. კულტურის სამინისტრომ და საქ. თეატრალურმა საზოგადოებამ. თეატრთან ერთად, 25 აპრილს მოეწყო საიუბილეო საღამო. საღამოზე თავის შესრულებულ სიტყვაში ამხ. დ. ანთაძემ მოკლედ მიმოიხილა პოზნარდ მაყურებელთა თბილისის რუსული თეატრი 40 წლის მანძილზე.

1927 წლის, 18 აპრილს, — განაცხადა ამხ. ანთაძემ, — თბილისში, პლენაროვის კლუბში სცენისმოყვარე ახალგაზრდებისა და თეატრის მოყვარულთა მონაწილეობით პირველად წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „ჰაიავატა“. სპექტაკლზე უმთავრესად თავი მოიყარა ნორჩპა თაობამ, რის შემდეგაც საფუძველი ჩაეყარა ახალი, ნორჩი თაობისათვის განკუთვნილ თეატრს. მალე თეატრს სათავეში ჩაუდგნენ ამ საქმის ერთუფასოებები: ნ. მარშაკი, კ. შანაზიზოვი, მ. ვახნიანსკი, გ. კირსანოვი, მ. ბარუჩევი, კ. ვასიერმანი და სხვები.

რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრმა საცემით გაამართლა მასზე დაკისრებული მოვალეობა, იგი იყო და არის ნორჩი თაობის მეორე სკოლა. თეატრმა დიდი როლი ითამაშა ნორჩი თაობის აღზრდისა და ფორმირების საქმეში, ნორჩი თაობის მხატვრული გემოვნების გამომუშავებაში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება თავის საქმიანობაში საკმაო ადგილს უთმობს აგრეთვე სახალხო თეატრების შემოქმედებით და პრაქტიკულ მუშაობას და მის წინსვლას. ამ მიზნით მე-2 კვარტალში თბილისის სახალხო თეატრების კოლექტივებში წაიკითხულ იქნა მოხსენებები თემაზე: „რევოლუციური თეატრის ამსახველი სპექტაკლები სახალხო თე-

ატრებში“. ასეთი მოხსენებები ჩატარდა თბილისის ამიერკავკასიის რკინიგზის სახლთან არსებულ, კავშირგაბმულობის სახლთან არსებულ და ვაჭრობის პროფკავშირის კულტურის სახლთან არსებულ სახალხო თეატრებში. აღნიშნულ მოხსენებები წაიკითხა თეატრმცოდნე ელენე კვიციანი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით საქ. სსრ კულტურის სამინისტროსა და საქ. თეატრალური საზოგადოების მიერ მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან შეიქმნა ჟიური, რომელიც რესპუბლიკის თეატრებში ათვლიერებს ამ დიადი თარიღისადმი მიძღვნილ სპექტაკლებს. საუკეთესო სპექტაკლების დამდგმელები, შემსრულებლები და აგრეთვე თეატრის კოლექტივები დაჯილდოებული იქნებიან როგორც ფულადი ჯილდოთი, ისე შემოქმედებითი მიღწენებებითა და სიგელებით.

ჟიური შედგება რესპუბლიკის სახალხო არტისტის დ. ანთაძის (ჟიურის თავმჯდომარე), თეატრმცოდნე ვ. კიკნაძის (ჟიურის თავმჯდომარის მოადგილე) და წევრების — ხელ. დამს. მოღვაწის ოთარ ევაძის, მწერალ ვ. ქედიძის და თეატრმცოდნეების ნ. შვანგირაძის, ნ. გურაბანიძისა და ალ. შალუტაშვილის შემადგენლობით.


ჟიურმა 2 კვარტალში დათვალეირა სპექტაკლები შემდეგ თეატრებში: ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში — ალ. სამსონიას — „ზღვა და სიყვარული“, ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის — „მეგობრა, ილიკო და ილარიონი“ და სტ. ცვაციკის — „სახლი ზღვის პირას“, ს. ჭანაძის სახელობის სოხუმის თეატრში — ქართულ დრამაში გ. მიციანის — „შენი ძია მიშა“, „ოიდიპოს მეფე“, თ. ჩხეიძის „ძველი რომანსები“, აფხაზურ დრამაში — გ. გუბლიას — „შენთანა ჩემი სიყვარული“, დ. დობიჩინის — „სამი ბულგულის ქუჩა № 17“ და ა. ლაგვილაკის და გ. სულიკაშვილის — „აბრასკილი“, ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრში — კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ შ. დადიანის „გუშინდელნი“, ლ. სანიკიძის „ნერონი“, გ. ნახუციურიშვილის „შაითან-ხიხო“, ს. შანშიაშვილის „ანზორი“, ქუთაისის თოჯინების თეატრში — ი. ჯავახიშვილის — „გაძვეებული სიღარიბე“, ნ. კემულარიას — „მოხერხებული ყოსია“ და გ. კლდიაშვილის „ოუბილე“, კ. ხეთაგურიშვილის სახელო-



ზის ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ქართულ დრამაში — აკ. გეჭაძის „თოფი და სიყვარული“, გ. ნახუცრიშვილის „ბორის ძნელაძე“, ი. ურჯუმელაშვილის „მძახლები“, ოსურ დრამაში — და ე. ურუმელაგოვის „დაწყველილი სახლი“, ვ. გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო თეატრში ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“, შ. როყვას „დედა“, და რ. ქორქიას „ნიკო ნიკოლაძე“, ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრში — ს. ცვაიგი — „სახლი ზღვის პირას“, ალ. სამსონიას „ძველი ქოლგა“, შ. დადიანის გვირგვინიანების ოჯახი“, ფიგეირედოს — „მელა და ყურ-

იენი“, ვიტლინგერის — „ვარსკვლავიდან მოსული კაცი“ და ე. გელოვანის „ადარ გაიმეორებს“, შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში შ. დადიანის „გვირგვინიანების ოჯახი“, იან ოტჩენაშეკის „რომეო ჯულიეტა და წყვილი“, ნ. ნიშნიანიძის „ვისთან არის მაკო“ და გ. შტეინისა და კუზნეცოვის „ცოლიანი საქმრო“, ალ. ვალოდინის — „ნ სადამო“. შაუმიანის სახელობის თბილისის სომხურ თეატრში — რ. კაუგერის „სასჯელის უმაღლესი ზომა“ და სხვა.

ნ. კველიშვილი





## КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

В статье говорится о том, что в апреле этого года исполняется 80 лет со дня рождения выдающего грузинского режиссера Сандро Ахметели и что, для проведения юбилея Министерством Культуры Грузинской ССР создана юбилейная комиссия в составе И. Абашидзе, Д. Антадзе, Ем. Апхаидзе, ш. Апхаидзе, К. Гардапхадзе, И. Гоктели, Д. Гелашвили, В. Годзиашвили, А. Двалишвили, О. Эгадзе, А. Васадзе,

С. Закариадзе, Д. Тавадзе, О. Тактакишвили (председатель), М. Туманишвили, Д. Кития, В. Куправа, В. Кикнадзе, Д. Лордкипанидзе, Д. Мchedlishvili, Р. Маргиани, М. Мегрелишвили, Ш. Нуцубидзе, Н. Урушадзе, С. Кобуладзе, Н. Швангирадзе (секретарь), С. Шаншиашвили, А. Чхаргишвили, А. Чимакадзе, Т. Цулукидзе, А. Дзидзигури, А. Хорава, У. Джапаридзе.

### Сандро Ахметели

В статье дан биографический очерк жизни и творческой деятельности выдающегося мастера грузинской режиссуры, — проанализированы и охарактеризованы

все его замечательные постановки («Анзор», «Ламара», «Разлом», «Разбойники», и др.), принесшие театру им. Руставели всесоюзную славу и признание.

### Д. Шостакович

Воспоминание о пребывании и работе в Ленинграде Александра Васильевича

Ахметели в 1936 году.

### Ю. Юзовский

Воспоминание о Сандро Ахметели, о том огромном впечатлении, которое произвели на автора статьи его постановки.

Рос о целесообразности возобновления театром имени Руставели «Разбойников» Шиллера в постановке С. Ахметели.

В заключение Ю. Юзовский ставит воп-

### В. Чабукиани

Воспоминание народного артиста СССР Вахтанга Чабукиани о работе Сандро Ахметели в Ленинградском театре Оперы и

балета имени Кирова над постановкой оперы Бородина «Князь Игорь».

### Д. Андгуладзе

Воспоминание о работе С. Ахметели в оперном жанре, о его постановках опер

«Паяцы» и «Разлом».

Воспоминание о работе в театре им. Руставели в 1932—1933 г. г. над постановочной пьес «Разбойники», «Чужой ребенок»

и «Часовщик и курица», а также о творческих встречах с Сандро Ахметели.

#### В. Кикнадзе

Статья о творческих поисках и достижениях выдающегося грузинского режиссера Сандро Ахметели, посвященная его

юбилейному вечеру в театре им. Руставели.

#### Г. Бухниашвили

Воспоминание автора о том, как С. Ахметели помог ему создать грузинский вариант комедии Шкваркина «Чужой ребе-

нок» и о том, что постановка этой пьесы была последней постановкой в творческой биографии этого выдающегося режиссера.

#### М. Кварелашвили

Неизвестная рецензия Сандро Ахметели на оперное либретто композитора М. М. Ипполитов-Иванова «Нестан Дареджан»,

найденная автором статьи в отделе рукописей Ленинградской общественной библиотеки им. Салтыкова-Щедрина.

#### Юбилейный вечер

29 апреля — юбилейный день Сандро Ахметели. Этот день грузинский народ отметил с особой теплотой и сердечностью.

29 апреля 1967 г. в театре им. Руставели состоялся юбилейный вечер, посвященный 80 летию со дня рождения выдающегося грузинского режиссера А. В. (Сандро) Ахметели.

Вечер открыл Министр культуры Груз. ССР О. В. Тактакишвили.

С воспоминаниями об Ахметели выступил академик Ш. Нуцубидзе. Затем слово было представлено зав. литчастью те-

атра им. Руставели Н. Урушадзе, которая кратко остановилась на биографии Ахметели.

Далее выступили председатель Театрального Общества Грузии Д. Антадзе, нар. артист СССР С. Закариадзе, директор Московского ЦДТ К. Шах-Азизов, нар. артист Груз. ССР М. Хиникадзе, нар. арт. СССР В. Годзиашвили, представители трудящихся Сигнахи и Анага, труппа театра Руставели во главе с главным режиссером А. Чхартишвили.

#### Прославленный ученый

5 июня 1967 года вся общественность грузинской республики отметила юбилей, посвященный 80 летию со дня рождения выдающегося грузинского языковеда и общественного деятеля, академика Г. С. Ахвледiani.

В статье театроведа Н. Швангирадзе

говорится о обширной исследовательской работе Г. С. Ахвледiani, который уделяет значительное место неизученным вопросам грузинской сценической речи.

Г. С. Ахвледiani является председателем методического совета чистоты сценической речи при Театральном Обществе.

19 июня 1967 года в театре им. Марджанишвили состоялся творческий вечер нар. арт. Груз. ССР М. Джапаридзе, организованный Театральным Обществом Грузии и театром им. Марджанишвили.

На вечере выступили нар. артистка СССР В. Анджапаридзе, Н. Урушадзе, писатель М. Мревлишвили, нар. арт. Груз. ССР Б. Кравишвили, зам. председателя Театрального общества Грузии Г. Якашвили, нар. артист респ. Г. Гегечкори, нар. арт. респ. М. Кварелашвили, писатель М. Бараташвили, нар. художн. Груз. ССР Е.

Ахвледиани, кинорежиссер С. Параджанов, засл. деятель искусств В. Нинидзе, представитель Амбролаурского района К. Немсицверидзе, артистка Е. Асламазишвили. Затем были зачитаны поздравительные телеграммы.

В заключение М. Джапаридзе поблагодарила присутствующих за внимание. Здесь же публикуется творческий портрет М. Джапаридзе «Сокровище актрисы», автором которого является В. Анджапаридзе.

**Хроника** — деятельности Театрального Общества Грузии во II квартале 1967 года.

В статье перечислены мероприятия Театрального Общества Грузии по участию

в юбилеях нар. арт. Грузии Г. Ткабладзе, нар. арт. Арм. ССР Гулазян, русского ТЮЗ-а и др.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. სანდრო ახმეტელის იუბილე . . . . .	3
2. სანდრო ახმეტელი . . . . .	4
3. დიმიტრი შოსტაკოვიჩი . . . . .	9
4. იოზეფ იუზოვსკი . . . . .	9
5. ეახტანგ ჭაბუკიანი . . . . .	11
6. დავით ანდლულაძე . . . . .	11
7. სერგო ქობულაძე . . . . .	12
8. ვასილ კიენაძე . . . . .	14
9. გრიგოლ ბუნჩიკაშვილი . . . . .	16
10. მიხეილ ყვარელაშვილი — „სანდრო ახმეტელის უცნობი რეცენზია“ . . . . .	17
11. საიუბილეო სალამო . . . . .	20
12. ნინო შვანგირაძე — „მეცნიერი — თეატრის ამაგდარი“ . . . . .	25
13. მედეა ჯაფარიძის შემოქმედებითი სალამო . . . . .	27
14. ვერიკო ანჯაფარიძე — „მსახიობის საუნჯე“ . . . . .	27
15. ქრონიკა . . . . .	29



## СО Д Е Р Ж А Н И Е

1. Юбилей Сандро Ахметели . . . . .	3
2. Сандро Ахметели . . . . .	4
3. Дмитрий Шостакович . . . . .	9
4. Юзеф Юзовский . . . . .	9
5. Вахтанг Чабукиани . . . . .	11
6. Давид Андгуладзе . . . . .	11
7. Серго Кобуладзе . . . . .	12
8. Василий Кикнадзе . . . . .	14
9. Григорий Бухникашвили . . . . .	16
10. Михаил Кварелашвили — «Неизвестная рецензия Сандро Ахметели» . . . . .	17
11. Юбилейный вечер . . . . .	20
12. Нино Швангирадзе — «Прославленный ученый» . . . . .	25
13. Творческий вечер Медеи Джапаридзе . . . . .	27
14. Верико Анджапаридзе — «Сокровище актрисы» . . . . .	27
15. Хроника . . . . .	29



Т О Г  
В Е С Т Н И К  
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1967

№ 2 (39)

ფასი 18 კპ.  
Цена 18 коп.

გადაეცა წარმოებას 29/VI 1967 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VII 1967 წ.

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2,5

შ. 2768

უე 00994

ტ. 200

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3  
Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3